# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 5 ივლისი 2002 №123 (1645) | ფასი 50 თეთრი


# გახსოვდეს სომეხი!

## პეტრიაშვილს ჩოლარია ასოციაციებით აშინებს





საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის დავით პეტრიაშვილის მიერ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში ფედერაციის წინაალმდეგ შეტანილი სარჩელი, ცხადია, ფედერალებმა უპასუხოდ არ დატოვეს. მერაბ ჟორდანიას საქართველოში არყოფნაში, პეტრიაშვილს კონტრარგუმენტები სფფ-ის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ დაუპირისპირა. გუშინ საგანგებოდ წვეულ პრესკონფერენციაზე გენმდივანმა პეტრიაშვილს ფედერაციის საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობის უეფასგან დადგენილი წესი და სომხური ფეხბურთიდან მოკვეთილი არკადი ანდრეასიანიც შეახსენა.

# სირენა: უილიამსები!

## ყველაფერი ნათელია: ფინალი, რა თქმა უნდა, შავია



დები უილიამსები მსოფლიოში პირველობას ერთმანეთშიღა არკვევენ: გუშინ სერენა (მარჯვნივ) პირველად გახდა პირველჩოგანი

# ჩოლარია პეტრიაშვილს ასოციაციებით აშინებს

## გენმდივანმა პრეზიდენტობის კანდიდატს მოკვეთილი სომეხი გაახსენა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ბრძოლა-დაპირისპირება ნელ-ნელა მძაფრდება, არავინ იცის 24 აგვისტოს არჩევნებამდე, რა და როგორ მოხდება. ლამის ყოველდღიურად პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატი ან მისი გუნდის წევრი პრესკონფერენციას მართავს და კონკურენტებს ხან სამართლიანობისკენ მოუწოდებს, ხანაც ამტყუნებს და სასამართლოში ჩივის, აბსურდული გადაწყვეტილებებისთვის პასუხი უნდა მოგვეკითხოსო. პრეზიდენტობის სამი კანდიდატიდან დღესდღეობით ორი დავით პეტრიაშვილი და ამჟამინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ერთმანეთში მეტად ქიშპობს.

დავით პეტრიაშვილი გუშინწინ მამხილებელი საბუთების დასტით დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს მიადგა, ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია წინასაარჩევნოდ მთლად პატიოსნად არ იქცევა, ყრილობაზე, ხმის მიმცემთ არასწორად ანაწილებს და საქმე თქვენ მოაგვარეთო. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, პრეზიდენტობის მოსურნე პეტრიაშვილი ფედერაციის აღმასკომის 24 ივნისის იმ გადაწყვეტილებამ აღაშფოთა, რის საფუძველზეც ფედერაციის ერთ-ერთ სუბიექტს — ბავშვთა ფეხბურთს — ყრილობაზე ხმის უფლება ჩამოერთვა. პეტრიაშვილი ასევე ითხოვს, რომ აღმასკომისა და სარევიზიო კომისიის წარმომადგენლების ხმათა უმრავლესობა გაბათილდეს. კანდიდატი ფედერაციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 41-ე მუხლის დარღვევისთვის ედავება, თან აცხადებს, რომ უეფაც დაინტერესებული იქნება, თუ საქმე ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მოგვარდება და სასამართლო მის სარჩელს დააკმაყოფილებს.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ამჟამად უცხოეთშია და თბილისში დაბრუნებას ორ-სამ დღეში აპირებს. მის არყოფნაში ფედერაციის საქმიანობას გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია განაგებს და, ისევე როგორც ფედერაციის სხვა თანამშრომლებსა თუ ჟორდანიას გუნდის წევრებს, პეტრიაშვილის ჩივილის შემდეგ აღელვებისა არაფერი ეტყობა. გენერალური მდივანი ფიქრობს, რომ სასამართლო პეტრიაშვილის საჩივარს ყურს არც ათხოვებს. ვალერი ჩოლარია ფიფას წესდების რუსული რედაქციის 63-ე მუხლს იშველიებს და ამბობს, პეტრიაშვილს საქმის სამოქალაქო სასამართლომდე მიტანის უფლება არ ჰქონდაო.



— იმ შემთხვევაშიც კი, ფიფას წესდების 63-ე მუხლი ქვეყნის კანონმდებლობას რომ ეწინააღმდეგებოდეს, მოსარჩელემ სამოქალაქო სასამართლოზე თავი უნდა შეიკავოს. საქმე ჯერ თავად ფედერაციაში, შემდეგ დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეკრებილ არბიტრაჟში უნდა გაირჩეს. თუ ვერაფერი გაირკვა, უეფა და ფიფა ტყუილად როდი არიან, ისინი იქნებიან მომრიგებლები. სულ ბოლოს საქმეში დამოუკიდებელი საფეხბურთო ტრიბუნალი ჩაერევა. ამჟამად კი დავით პეტრიაშვილმა უნდა იცოდეს, რა მოჰყვება მის ამ ნაბიჯს — თქვა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, თუმც ის არ დააკონკრეტა, რა უნდა იცოდეს პეტრიაშვილმა და რა შეიძლება მის საჩივარს მოჰყვეს. ისე კი, ვალერი ჩოლარიამ სომხეთი ახსენა და ამას მოაყოლა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ არკადი ანდრეასიანი სომხურ ფეხბურთში პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადაო. ყოველი სადავო საკითხისას ქართული ფეხბურთის ფიფა-უეფადან მოკვეთაზე ლაპარაკი კი, მისი აზრით, აუცილებელი სულაც არ არის.

ახლა მეორე დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლომ თუ პეტრიაშვილის სარჩელი განიხილა და დააკმაყოფილა კიდეც, რას უნდა ველოდოთ ფედერაციის მხრიდან? ფედერაციას ასეთ შემთხვევაში საოლქო და უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების უფლება ექნება, ან კიდევ საქმის არსის ფიფამდე მიწვდენის საშუალება. ჩოლარია დღესდღეობით არც იმას აკონკრეტებს, [illegible] რომელ გზას გამონახავს და როგორც აქამდე, ახლაც იმეორებს — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდების შესაბამისად, იმ წესდებისა, რომელიც ჩვენმა წინამორბედებმა შეიმუშავეს, იმ საკითხებს, რაც არ არის ფედერაციის ყრილობის კომპეტენცია, წყვეტს ფედერაციის აღმასკომი. ყრილობისთვის ხმების უფლება კი სწორედ აღმასკომმა გაანაწილა და გადაწყვიტა.

ფედერაციის გენერალურმა მდივანმა 28 ივნისით დათარიღებული ფაქსიც გაგვაცნო, რომელიც უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების პროგრამის უფროსმა მენეჯერმა ერიხ ეპლემ მერაბ ჟორდანიას სახელზე გამოგზავნა: „ბოლო წლებში უეფასა და სფფ-ის თანამშრომლობა უფრო გამყარდა და საკმაოდ წარმატებულიც იყო. კომპანია „ერნსტ ენდ იანგის“ რევიზიამ დაადასტურა, რომ სფფ განვითარების სწორ გზასადგას. მაღალ შეფასებას ვაძლევ ფედერაციის მენეჯმენტს ორგანიზაციისა და ინფრასტრუქტურის მხრივ და ვიმედოვნებ, ეს პროგრესი მომავალშიც გაგრძელდება“ — ვკითხულობთ ეპლეს წერილში.

ერთი სიტყვით, ფედერაცია თავისას ამბობს, ყრილობის გადადებაზე არც ფიქრობს. თუ კი რამ ფიფა-უეფადან საქებარი ესმის, გამომზეურებას არ აყოვნებს და ყრილობაზე მხარდამჭერთა დიდი იმედიც აქვს. ვარაუდობენ, მერაბ ჟორდანიას ხმის მქონეთაგან 35-40 მომხრე უკვე ჰყავს. თავის მხრივ, არც დავით პეტრიაშვილი კარგავს დროს უქმად და უეფასკენ მიმავალ გზაზე დამდგარი მომავალ კვირას გენერალურ მდივან გერჰარდ აიგნერთან დაგეგმილ შეხვედრას ელის, რათა უფრო კონკრეტულად მოახსენოს წინასაარჩევნო ქართული ამბები.

**კობა ინასარიძე**

# სანაკრებო აგვისტო

## ქართველები შინიდან მიდიან

**აგვისტოში** ცხელი დღეები დაუდგებათ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებებს.

როგორც იცით, 21 აგვისტოს ეროვნული ნაკრები ტალინში ესტონეთს გაეჯიბრება ამხანაგურად, გუშინ კი გადაწყდა, რომ ამავე დღეს ვახტანგ კოპალეიშვილის დამოძღვრილი ახალგაზრდული ნაკრებიც გამოცდის ძალას საკონტროლო მატჩში. კოპალას ბიჭები ტრაბზონს ეწვევიან და თურქ ახალგაზრდებს შეხვდებიან. ამ მატჩის ჩატარების ინიციატივა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან წამოვიდა და გუშინ სფფ-ის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ თანხმობის ფურცელი მიიღო — თურქები გველოდებიან.

აგვისტოშივე გამოიცდებიან 17 და 19-წლამდელებიც. სფფ-ში გუშინ პალანგის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირიდანაც მიიღეს მოწვევა — ლიტვაში ქართველ 17-წლამდელებს სერგო კუტივაძე დამოძღვრავს. კობა ჟორჟიკაშვილი კი თავის ბიჭებს ბაქოში ჩაიყვანს და მასპინძელ და ირანელ 19-წლამდელებს გააჯიბრებს — აზერბაიჯანის დედაქალაქი საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს.

**ბაათა ძვანტალიანი**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

**ჩვენი მეტოქეები**

# კოლოსკოვი რუსულად ჭრის

## რუსეთი

**2004 წლის** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მთავარმეტოქე რუსეთის ნაკრები მწვრთნელის ძიებაშია. კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე უხეირო თამაშმა ჩვენი მეზობლები აახმაურა. რუსები უცხოელ მწვრთნელს ითხოვენ ნაკრების სათავეში და კანდიდატებსაც ასახელებენ: რიხარდ მოლერ ნილსენი, ბორა მილუტინოვიჩი, ალბერტო ძაკერონი, დინო ძოფი, ვალერი ნეპომნიაში... მაგრამ ერთია რუს მედიელთა და ქომაგთა სურვილი და მეორე ვიაჩესლავ კოლოსკოვის მოსაზრება. რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცი ენთუზიაზმით სულაც არ შეხვედრია უმრავლესობის აზრს. ნიჭიერი და ნაკრებისთვის გამოსადეგარი მწვრთნელები რუსეთშიც ბევრი მოიძებნება და რაღა სხვაგან გავიხედოთო, თქვა ამას წინათ კოლოსკოვმა და ამით უცხოეთისკენ მზირალთ ცივი წყალი გადაასხა, მაგრამ არა და არ ცხრებიან რუსული საინფორმაციო საშუალებები და ჯიუტად ამტკიცებენ უცხოელი მწვრთნელის უპირატესობას. კოლოსკოვიც ნელ-ნელა უკან იხევს და საფიქრებელი უფრო ისაა, ოქტომბერში საქართველოსკენ დაძრულ რუსებს უცხოელი მწვრთნელი რომ გამოუძღვეს.

ნაკრების ახალი თავკაცის ვინაობა რუსებმა წესით 8 ივლისს უნდა დაასახელონ. სწორედ ამ დღეს ჩატარდება რუსეთის საფეხბურთო კავშირის აღმასკომის სხდომა, მაგრამ კოლოსკოვი ბოლო „რუსულ ხავსს“ მოეჭიდა და სხდომის დღის წესრიგში მწვრთნელის საკითხი არ შეიტანა, რაზეც მედიელთა რისხვა დაატყდა თავს. თუმცა ფიფა-უეფაში ავტორიტეტულმა ჩინოსანმა დელიკატურად სცადა თანამემამულეთა დამშვიდება. ფიქრი ნუ გაქვთ, 8 ივლისამდე ვერ ვასწრებდით სრულფასოვანი სამუშაოს ჩატარებას, რამდენიმე უცხოელი სპეციალისტის კანდიდატურას ვიხილავთ და შესაძლოა, გადაწყვეტილების მიღება 8 ივლისამდე ვერ მოვასწროთ, თუმც, 60 პროცენტი მაინცაა იმის შანსი, რომ ახალი მწვრთნელის ვინაობა ორშაბათსვე დავასახელოთო, თქვა კოლოსკოვმა.

**ბაათა ძვანტალიანი**

# ული შტილიკე შუშაკთან

## დინამო გერმანიის ხვალინდელ დღეს გააკონტროლებს





ივო შუშაკის „დინამო“ ული შტილიკეს ჭაბუკ გერმანელებს გაეჯიბრება

*გუშინწინ გაემგზავრა გერმანიაში თბილისის „დინამო“. საქართველოს ათგზის ჩემპიონი შტუტგარტის ახლოს, დაბა რუიტის სპორტულ ბაზაზე დაბანაკდა.*

*პირველი ორი ვარჯიში კი იქ დინამოელებმა გუშინ ჩაატარეს. ჩვენც ტელეფონით დავუკავშირდით ივო შუშაკის კონსულტანსა და კლუბის დირექტორატის წევრ გივი ნოდიას ინტერვიუსთვის.*

— რუიტში ნორმალურად მოვეწყვეთ, ყველაფრით კმაყოფილნი ვართ. აქ ძალიან კარგი მინდვრებია და კვებაც ჩინებულია.

**— საკონტროლო მატჩების განრიგი თუ დაიგეგმა, უკვე ცნობილია რომელ გუნდებს გაეჯიბრება „დინამო“?**

— ივო შუშაკის მოთხოვნაა, რომ „დინამომ“ გერმანული შეკრებისას პირველი და ბოლო საკონტროლო მატჩი რეგიონლიგის გუნდებთან ითამაშოს — ეს, ალბათ, 6 და 22 ივლისს მოხდება.

**— როგორც ადრე შევიტყვეთ, დაგეგმილია მატჩი „ფრაიბურგთან“.**

— რა თქმა უნდა და ახლა თარიღიც დავაზუსტედ — 17 ივლისი.

**— კიდევ რომელ გუნდებთან ითამაშებს „დინამო“ რუიტში ყოფნისას?**

— 14 ივლისს პოლონეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდს შევხვდებით, ხოლო ჩვენი პარტნიორი ფირმა „იაკოს“ წარმომადგენლები დაგვპირდნენ, რომ 20 ივლისს მეორე ბუნდესლიგის „მანჰეიმს“ შეგვახვედრებენ. და კიდევ, 15-დან 20 ივლისამდე, რუიტის ბაზას ხუთდღიანი შეკრებისთვის გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრები ეწვევა, რომელსაც წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ული შტილიკე წვრთნის და წინასწარ შეთანხმებით შტილიკეს გუნდთანაც მოგვიწევს თამაში.

**— ის სამხრეთამერიკელი ფეხბურთელები როდის ჩამოაკითხავენ „დინამოს“, რომელთაც ივო შუშაკი დააკვირდება გუნდში ასაყვანად?**

— ერთი ბრაზილიელი უკვე აქ არის. სიმართლე გითხრათ, მის სახელი და გვარი ჯერ არც კი ვიცი, მან მხოლოდ ერთხელ ივარჯიშა დინამოელებთან.

**— მერედა, რა შთაბეჭდილება დატოვა?**

— ის ფორვარდია და ჯერ ძნელი სათქმელია, რა შესაძლებლობებისაა. ხვალ კიდევ ერთი ბრაზილიელი შემოგვიერთდება — მორილიო უკან დახეული თავდამსხმელია. მოგვიანებით კიდევ რამდენიმე ლეგიონერს გამოცდის ბატონი ივო. ისე კი, შუშაკის პოზიცია ასეთია — თუ ლეგიონერი 30-40 პროცენტით არ სჯობნის ქართველ დინამოელებს, მას გუნდში არ აიყვანს.

**— „დინამოს“ თან ახლავს ფოთის „კოლხეთიდან“ წამოსული მცველი დავით კვირკველია. როგორც „კოლხეთის“ დამრიგებელი სოსო ფილია ამბობს, ამ ფეხბურთელმა თვითნებურად მიატოვა გუნდი, ხოლო „დინამომ“ კვირკველიას თაობაზე დაწყებული მოლაპარაკება შეაჩერა, რომელსაც „დინამოს“ მხრიდან თქვენ აწარმოებდით...**

— საქმე ისაა, რომ მე „დინამოს“ წამოსვლამდე ცოტა ადრე ჩამოვედი გერმანიაში. მაგრამ თბილისში დარჩნენ „დინამოს“ წარმომადგენლები. მათ შორის კლუბის აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავაც და ვფიქრობ, საერთო ენის გამონახვა არ გაჭირდება.

**დავით თავართქილაძე**

## შვედეთი

VIII ტური

ჰამარბი 1:2 ლანდსკრონა

ნორჩიოპინგი 0:0 სუნდსვალი

მალმიო 2:1 ჰალმსტადი

## ფინეთი

XIII ტური

მიუპა 3:0 ვაასა

ალიანსი 1:1 ტამპერე

ინტერი 4:1 ჰაკინლინა

იარო 0:3 ლაჰტი

ჯაზი 0:2 ჰიკ

# ვითომ შეშლილთ ბაჩვა? კორღალიძემ იარა, იარა და რიგა შემოიარა





ალექსანდრ სტარკოვს ლევან კორღალიძე ფიგარო ეგონა

**ლატვიის ჩემპიონატში** ბოლო წლების უცვლელი ჩემპიონი „სკონტო" დღეს „ვენტსპილსს" მისდევს და მწვრთნელ ალექსანდრ სტარკოვის საშემადგენლობო ექსპერიმენტებიც გასაკვირი არ უნდა იყოს. აი, თანაქალაქელ „რიგასთან" ბოლო ტურშიც სტარკოვმა გუნდი ახალი ტაქტიკური სქემით (3-5-2) ათამაშა. უჩვეულო ერთ-ერთი საყრდენ ნახევარმცველად ზურაბ მენთეშაშვილის თამაში გახლდათ, ლევან კორღალიძე კი თავიდან თავდამსხმელების უკან გაამწესეს, მოგვიანებით, შუა ხაზის მარჯვენა ფრთაზე გადაიყვანეს, ბოლოს კი სულაც ნახევარმცველობა დაავალეს.

სტარკოვი ამბობს, რომ ასეთ გადაადგილებებს მოწინააღმდეგის დასაბნევად აკეთებს, მაგრამ, ეტყობა, მწვრთნელი ჯერაც ვერ გარკვეულა, ვინ სად უფრო გამოდგება. კაპიტან ალექსანდრე რეხვიაშვილს „რიგასთან" არ უთამაშია, ჩვენი ლატვიელი კოლეგების ცნობით, მწვრთნელებმა ის დაასვენეს. თამაში კი ბუიტკუსის და კშანავიჩიუსის გოლებით „სკონტომ" 2:0 მოიგო და ლიდერ „ვენტსპილსს" ოთხი ქულით ჩამორჩება.

რუსეთში პრემიერლიგა განახლდა. მე-13 ტურში ცხრა ქართველიდან მხოლოდ ერთმა, „ალანიას" დებიუტანტმა მიხეილ აშვეთიამ ითამაშა და გატანილი გოლით გამოირჩა. სანკტ პეტერბურგში, „ზენიტთან მატჩის 47-ე წუთზე აშვეთიამ ბაზაევის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს დაჰკრა თავი და ანგარიში გაათანაბრა, თუმცა მასპინძლებმა მაინც იძალეს, კერჟაკოვის გოლით გაიმარჯვეს და ალანები შინ უქულოდ გაისტუმრეს. „ალანია", რომელიც ბოლო დღეებში აშვეთიას კვალად რკინიგზელი გიორგი დემეტრაძითაც გაძლიერდა, ისევ ბოლოსწინა ადგილზეა და მწვრთნელ-კონსულტანტების მეცადინეობით რთული ამოცანის ამოხსნა მოუწევს. კონსულტანტი ბორის ევნატიევი გახლავთ, მთავარი მწვრთნელი კი გუშინდელი კაპიტანი ბაზვა თედეევი, ვისაც რუსებმა უკვე ბაზვა ოთაროვიჩი დაარქვეს.

პირველ ლიგაში ლიდერობა დაიბრუნა ყაზანის „რუბინმა", რომელმაც ბოლო ტურში სტუმრად როსტოვის ასკ გაანადგურა. ოთხი უპასუხო გოლიდან ორი დავით ჩალაძემ გაიტანა და ლადელ სერგეი დავიდოვთან ერთად 8 გოლით პირველლიგელთა საუკეთესო მეგოლეცაა. გამოირჩა კრისტალელი თენგიზ სიჭინავაც. მან სტუმრად „ხიმკის" 35 მეტრიდან გაუტანა. თუმცა რუსი ჟურნალისტების მტკიცებით, გოლი მეკარე სტრიკალოვის უნიათო თამაშის ბრალიც ყოფილა. მატჩი კი მაინც ფრედ დამთავრდა, ბოლოსკენ მასპინძლებმა კოვარდაევის პენალტით გაათანაბრეს და „კრისტალი" კვლავ ბოლოდან მესამე ადგილზე დარჩა.

**სოლომონ ბულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | ზენიტი 1:2 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| გია იმედაძე | ალანია | ს | ზენიტი 1:2 | 0 | | 10 | 2 | 15 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | ზენიტი 1:2 | 75 | 1 გოლი, შეცვალეს | 1 | 1 | 15 |
| დავით ქოქაშვილი | სპარტაკი | ს | ზილ 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | ს | ანჟი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ტორპედო 1:0 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| კახა მჭავანაძე | ანჟი | შ | ლოკომოტივი 0:0 | 0 | | 11 | 1 | 12 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | შ | როსტსელმაში 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 9 | 0 | 11 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | როსტსელმაში 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | ასკ როსტოვი 2:3 | 45 | შეცვალეს | 13 | 0 | 17 |
| | კრისტალი | ს | ხიმკი 1:1 | 0 | | 13 | 0 | 17 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | ასკ როსტოვი 2:3 | 90 | | 14 | 0 | 17 |
| | კრისტალი | ს | ხიმკი 1:1 | 60 | 1 გოლი, შეცვალეს | 15 | 1 | 17 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | ასკ როსტოვი 2:3 | 27 | შეცვალეს | 11 | 0 | 17 |
| | კრისტალი | ს | ხიმკი 1:1 | 90 | | 12 | 0 | 17 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | ლადა 2:1 | 56 | შეცვალეს | 11 | 0 | 2 |
| | რუბინი | ს | ასკ როსტოვი 4:0 | 0 | | 11 | 0 | 1 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | ლადა 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 2 |
| | რუბინი | ს | ასკ როსტოვი 4:0 | 90 | | 6 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | ლადა 2:1 | 0 | | 12 | 6 | 2 |
| | რუბინი | ს | ასკ როსტოვი 4:0 | 84 | 2 გოლი, შეცვალეს | 13 | 8 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი | შ | ხიმკი 1:0 | 89 | შეცვალეს | 13 | 2 | 12 |
| | ლოკომოტივი | შ | ჩერნომორეცი 0:1 | 78 | შეცვალეს | 14 | 2 | 12 |
| პაატა ბერიშვილი | ვორონეჟი | შ | ტომი 2:1 | 0 | | 4 | 1 | 15 |
| | ვორონეჟი | ს | ნეფტეხიმიკი 1:2 | 0 | | 4 | 1 | 16 |
| ალექსანდრე გელაძე | ასკ როსტოვი | ს | კრისტალი 3:2 | 0 | | 4 | 0 | 13 |
| | ასკ როსტოვი | შ | რუბინი 0:4 | 0 | | 4 | 0 | 13 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | დაუგავა 6:0 | 0 | | 13 | 1 | 2 |
| | სკონტო | შ | რიგა 2:0 | 0 | | 13 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | დაუგავა 6:0 | 90 | | 11 | 2 | 2 |
| | სკონტო | შ | რიგა 2:0 | 90 | | 12 | 2 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | დაუგავა 6:0 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 3 | 3 |
| | სკონტო | შ | რიგა 2:0 | 90 | | 14 | 3 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | შ | ვალმიერა 1:1 | 90 | | 12 | 1 | 8 |
| | რიგა | ს | სკონტო 0:2 | 0 | | 12 | 1 | 8 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

# დანდი დაფაცურდა და დაფი იპოვა

## შოტლანდიელ ქართველებს ტრადიციონალისტი დაუნიშნეს

**შოტლანდიურ „დანდის"** უმწვრთნელოდ ყოფნა დიდხანს არ მოუწია. ახლახან გუნდიდან წასულ იტალიელ თავკაც ივანო ბონეტის შემცვლელი უმალ მოუნახეს. შინდისფერი ლეგიონის ტრიოს — თემურ ქეცბაიას, გიორგი ნემსაძესა და ზურაბ ხიზანიშვილს ამიერიდან 43 წლის ჯიმ დაფი დამოძღვრავს, რომელმაც გუშინ „დანდისთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

დაფს დანდელები კარგად იცნობენ. იგი ამ გუნდის ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. 1993-96 წლებში დაფიმ „დანდის" მაისურით მრავალი ბედნიერი წუთი აჩუქა გუნდის გულშემატკივარს. ყველაზე მეტად 1995 წელს „ჰემპდენ პარკზე" ნათამაშები თასის ფინალი ფასობს. თუმც არც „დანდის" მწვრთნელობაა დაფისთვის უცხო, როცა მან კლუბი დატოვა, ფეხბურთელობასთან ერთად მთავარი დამრიგებლის თანაშემწეც იყო: „დანდიდან" რომ წავედი, მოთამაშე-მწვრთნელი ვიყავი. მაშინ ნაკლები გამოცდილება მქონდა გუნდის უფროსობისა. ბოლო ხანებში კი საკმაო ცოდნა დამიგროვდა და ვეცდები, გუნდს მოვახმარო."

დაფის სურვილია, „დანდი" ისეთი იხილოს, როგორიც ბონეტამდე იყო: „ტრადიციულად, „დანდის" ლაღი ფეხბურთი იზიდავდა. ასე იყო, სანამ იტალიელი მოვიდოდა. ვფიქრობ, ძველი სახის აღდგენა არ უნდა იყოს ძნელი. ამისთვის გუნდში საკმაოდ არიან როგორც გამოცდილი, ისე ახალგაზრდა ფეხბურთელები. სწორი მუშაობით შევძლებთ, „დანდის" ამბიციები დავუბრუნოთ."

ფეხბურთელი ჯიმ დაფი 1996 წელს „დანდიდან" „ჰიბერნიანში" გადავიდა, სადაც უიღბლო 13 თვე გაატარა. ამ ხნის მანძილზე ედინბურგულმა კლუბმა მხოლოდ 9 მატჩი მოიგო და დაფიც სპორტსმენის კარიერას გამოეთხოვა.

დაფის სამწვრთნელო კარიერა ლონდონის „ჩელსის" ბავშვთა გუნდში დაიწყო და „პორტსმუთში" გაგრძელდა. „დანდი" მისი მეორე პროფესიული კლუბია.

**ირაკლი ბერტაია**



ჯიმ დაფი დანდელებს კარგად ახსოვთ

გუშინ „დანდიში" ახალდანიშნული ჯიმ დაფი ფეხბურთელებს გაეცნო და პირველი წვრთნაც ჩაატარა. ნავარჯიშებს ახალ მწვრთნელზე შთაბეჭდილებები საქართველოს ეროვნული გუნდის კაპიტანმა **გიორგი ნემსაძემ** გაგვიზიარა, რომელსაც შოტლანდიაში შევეხმიანეთ.

— ერთი შეხედვით დაფი ურიგო სპეციალისტი არ ჩანს. ურთიერთობაც ჯერჯერობით ნორმალური ჩამოგვიყალიბდა. მერე და მერე, როცა უკეთესად გავიცნობთ, ყველა უხერხულობა გაქრება და მწვრთნელზეც მეტ ინფორმაციასაც მივიღებთ. სადღეისოდ ერთი რამის თქმა შეიძლება. ეტყობა, დაფი უფრო აგრესიული და შემტევი საფეხბურთო სტილის მოტრფიალეა.



გიორგი ნემსაძემ (მარჯვნივ) ახალ მწვრთნელთან დღეს პირველად ივარჯიშა





ბადრი კოიღლაძის ფოტოები

ალექსანდრ შტელინმა (მარჯვნივ) ანდრი პოროშინიც გაიცნო

# ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადა

## სორე კვირკველია, სორე ჩქიმი ბოში?

**ფოთის „კოლხეთის“** საახალსეზონო მზადების შესახებ ახლახან გაუწყეთ. ისიც გითხარით, რომ ზღვისპირა კლუბი რვა ფეხბურთელმა ძატოვა, თუმც მათ რიცხვს მალე მეცხრე — დავით კვირკველიაც შეუერთდა, რომელიც ახლა თბილისის „დინამოში“ ვარჯიშობს. იმ რვა ფეხბურთელის წასვლას ჩამიჩუმიც არ მოჰყოლია — „კოლხეთმა“ უკლებლივ ყველას გათავისუფლების ფურცელი უბოძა და მათი შემცვლელების ძიება დაიწყო. საპირისპირო ვითარებაა 22 წლის დავით კვირკველიას ირგვლივ. მას „კოლხეთთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, ამიტომაც მისმა გაუჩინარებამ კლუბის თავკაც სოსო ფილიას აღშფოთება გამოიწვია. გუშინ „სარბიელი“ კოლხთა მთავარ მწვრთნელს გაესაუბრა. განაწყენებული სოსო ფილიას პირველივე სიტყვები ასეთი იყო:

— დავით კვირკველია გუნდიდან გაშვებული არ არის. ის მოპარულია! დიახ, „დინამომ“ ფეხბურთელი მოგვპარა. ამას ასე იოლად ვერ შევეგუები.

...ვარჯიში დილის ცხრის ნახევარზე გვქონდა და... სად არის კვირკველია? ამაზე პასუხი ვერ მივიღე. კი ვიცოდი, რომ თბილისის „დინამო“ ამ ფეხბურთელით დაინტერესებული იყო, მაგრამ ასე თუ მოიქცეოდნენ, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი...

—ეს ბიჭი ჩემი გაზრდილია. მე მოვძებნე, ჩავაცვი, დავახურე, ვაჭამე, გავზარდე და ახლა რა? ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადა, ხომ გაგიგიათ?..

...მასთან შეთანხმებული ვიყავი, მეთოთხმეტე ჩემპიონატის პირველი ეტაპი მაინც „კოლხეთში“ უნდა ეთამაშა, მერე კი მის ტრანსფერზეც რეალურად ვიმსჯელებდით. კვირკველიას გადაბირებას ახლაც ცდილობენ უკრაინული, რუსული, ბულგარული და გერმანული კლუბები, მაგრამ მე თავს ვიკავებდი. ვიცოდი, რომ ჯერ ეს ბიჭი უცხოეთში წასასვლელად მზად არ იყო. ამას თავად კვირკველიასაც ვეუბნებოდი. არ მეგონა, ამაგს ასე თუ დაივიწყებდა.

...„კოლხეთში“ მთავარ მწვრთნელად დანიშვნისთანავე განვუცხადე კლუბის ხელმძღვანელობას, რომ კვირკველია ჩემი თანხმობის გარეშე ვერსად გადავიდოდა. ამაზე უმალ უპრობლემოდ შევთანხმდით, მაგრამ რა როგორ მოხდა, ყველა კარგად ხედავს.

...თბილისის „დინამოდან“ ერთადერთხელ დამიკავშირდა გივი ნოდია და დამპირდა, რომ მოგვიანებით ისევ დამირეკავდა, თუმც მის ზარს ამაოდ ველოდი, მერე თავად დავურეკე და მკაცრად ვესაუბრე. ვუთხარი, რომ ამ ტრანსფერზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ამის მერე საერთოდ აღარ გვილაპარაკია.

...„დინამოს“ თუ კვირკველიას ყიდვა სურს, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ამას ხომ მოლაპარაკება სჭირდება. ჩვენ კი არავინ გვიკავშირდება. როგორც ჩანს, „დინამოს“ ფულის გადახდაც არ უნდა. ახლა, ალბათ, აკვირდებიან მას და თუ მოეწონათ, მერე დაფიქრდებიან შეძენაზე, ამ დროს კი „კოლხეთის“ ინტერესები ილახება. მე კარგად ვიცი, რა ღირს დავით კვირკველია. ეტყობა, მას თავს მოახვიეს რაღაც ილუზიები, გააბრუეს და... მაგრამ მაინც ვერ გამიგია, „კოლხეთმა“ რა დააშავა?

...თბილისის „დინამო“ თავისი ავტორიტეტით ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ ფოთის „კოლხეთი“ ამას არ დაუშვებს. ჩემთვის ყველა კლუბი ერთნაირია და მათ პერიფერიებისა და პროვინციების მიხედვით არ ვყოფ. ყველაფერს აქვს საზღვარი.

...ამ საქმეს ასე არ დავტოვებ. თუ დავით კვირკველია ჩემპიონატის დაწყებამდე კლუბში არ დაბრუნდება, მას ორწლიან დისკვალიფიკაციას ავკიდებ.

—ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ კვირკველიას დავსჯი. მას არ ჰქონდა კლუბის უნებართვოდ დატოვების უფლება. იმედია, ამაში ფედერაციაც დაგვეხმარება. ის ვალდებულია, ჩვენი უფლებები დაიცვას.

**კახა ზალამბერიძე**



ბადრი კოიღლაძის ფოტო



დავით კვირკველიას შესაძლო გადინამოელებამ სოსო ფილია ჯერ გააკვირვა, მერე განარისხა

# შტელინმა სალიგოდ საღორია შეარჩია

**როგორც იქნა,** გაირკვა. ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერის კუნძულების „B36“-თან სათამაშოდ ქუთაისის „ტორპედო“ არც მოსკოვში, არც გერმანიაში, არც თურქეთში, არამედ, მშობლიურ ქალაქში, საღორიის ბაზაზე მოემზადება. დიახ, „ტორპედოს“ წინასალიგო უცხოური შეკრება საბოლოოდ გამოირიცხა. გუნდი შინაურ პირობებში გააგრძელებს წვრთნას და კუნძულელებთან დაპირისპირებამდე სპარინგ-პარტნიორებიც ოდენ ჩვენებური ეყოლება.

ქუთაისელებმა ორი საკონტროლო მატჩის გამართვა უკვე მოასწრეს, თბილისში „ლოკომოტივი 2“-ს 2:0, ხოლო ქუთაისში „კოლხეთს“ 3:1 სძლიეს. დღეს ალექსანდრ შტელინი „ქობულეთთან“ სათამაშოდ ჩაიყვანს შეგირდებს, რომელთა შორის ანდრი პოროშინი და გივი კვარაცხელიაც იქნებიან. ორივე ფეხბურთელს დაუგვიანდა წვრთნა. მხოლოდ ორი დღეა, რაც ისინი გუნდთან ერთად ვარჯიშობენ.

**იუზა კაციტაძე**

# მილანს ლაგოდეხში ბარამიძე წაიყვანს



სოსო ბარამიძე

**წინა სეზონში** წნორის „მილანმა“ ისტორიული წარმატება მოიპოვა. ქიზიყურმა პატარა გუნდმა პირველ ადგილზე ჩაამთავრა პირველი ლიგის ჩემპიონატი და უმაღლესი ლიგის საგზური დაიბევა. საახალსეზონოდ გუნდი გაძლიერებას ფიქრობდა, მაგრამ ბოლო ტურის მატჩში მარცხი გახდა იმის მიზეზი, რომ „მილანის“ პრეზიდენტს ერთბაშად რვა ფეხბურთელი დაეთხოვა. მოკლედ, „მილანი“ განახევრდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა მაინც იმედიანადაა განწყობილი. პრეზიდენტმა ავთანდილ მანგოშვილმა სარეზერვო გუნდიდან ნიჭიერი ახალგაზრდები დაუმატა დარჩენილებს და რამდენიმე დღეში 4-5 გამოცდილი ფეხბურთელითაც შეკრავს გუნდს. მათი ვინაობა დაზუსტებით „მილანის“ მოსამზადებელი შეკრების წინ გახდება ცნობილი. გუნდი დღესდღეობით ტრენაჟორებზე ვარჯიშობს, კვირის ბოლოს კი ლაგოდეხში გაემგზავრება ოცი დღით. არადა, თავდაპირველად გუნდის საწვრთნელი შეკრება რაჭაში იყო დაგეგმილი, მაგრამ მანგოშვილმა ბოლო მომენტში მეზობელ ლაგოდეხში დაბანაკება არჩია.

ამას წინათ ისიც ითქვა, მანგოშვილი მოთამაშე-მწვრთნელ სოსო ბარამიძის დათხოვნას აპირებსო, მაგრამ ჭორი არ გამართლდა. გუშინ ჩვენთან საუბარში „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა მარიამ ფირცხალაიშვილმა ეს თქვა: „არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ბარამიძეს არ ვენდოთ, მისი დიდი დამსახურებაა უმაღლესი ლიგის საგზური რომ მოვიპოვეთ და სოსოს თავისი შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალება რჩეულთა შორისაც ექნება“.

**ბაატა კვანტალიანი**

რეკლამა სარბიელ—ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# გაზვიადებული მეტალურგი

**წინა სეზონში** უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „მეტალურგმა“ დასახულ მიზანს მიაღწია — ლიგაში ადგილი შეინარჩუნა. მე-13 ეროვნულის შემდეგ ზესტაფონელებმა თვენახევარი დაისვენეს, ახლა კი მე-14 ჩემპიონატისთვის შეუდგნენ მზადებას.

გუნდი გუშინწინ შეიკრიბა, ცხადია, ზესტაფონში. მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ერთმანეთი მოიკითხეს თუ არა, უახლოეს გეგმებზე და მოსალოდნელ ცვლილებებზე ჩამოვდეს სიტყვა.

გაირკვა, რომ „მეტალურგის“ თავკაცი ზაურ ჩუბინიძე შეგირდებს ერთი კვირა ზესტაფონში ავარჯიშებს. 10 ივლისს კი გუნდი ზღვისპირეთში გაემგზავრება და ურეკში გაივლის ორკვირიან შეკრებას. მერე „მეტალურგი“ ზესტაფონში გააგრძელებს წვრთნას და ამასობაში ჩემპიონატიც დაიწყება.

ახლა გუნდში მომხდარ და სავარაუდო ცვლილებებზე. როგორც ზაურ ჩუბინიძემ გვითხრა, დღესდღეობით მას ძველი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი აკლია. მცველ ლევან მერებაშვილის საქმე გადაწყვეტილია, იგი „ვიტ ჯორჯიაში“ გადავიდა. სხვაგან აპირებენ თამაშს დავით ბაქრაძე, რომელიც ზესტაფონელებს „ლოკომოტივიდან“ ჰყავდათ ნათხოვარი, ზვიად კრავეიშვილი, კახა კობესაშვილი და ლაშა ცნობილაძე, თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ რომელიმე მათგანს ისევ „მეტალურგისკენ“ მოუბრუნდეს გული. რაც შეეხება შევსებას, ჩუბინიძემ „მეტალურგი 2“-ის ხუთი ახალგაზრდა მოთამაშე მიიწვია ძირითად გუნდში გასასინჯად და ერთიც ბაღდათის „საირმეში“ მოიძია. ეს უკანასკნელი ყოფილი ტორპედოელის, ამჟამად უნგრული „დებრეცენის“ ფეხბურთელის, კახა ჩხეტიანის უმცროსი ძმა ზვიადი გახლავთ. მომავალ სეზონში კვლავ „მეტალურგისთვის“ გაირჯება ვეტერანი ზვიად ენდელაძე, რომლის გოლებმაც წინა სეზონის მიწურულს ზესტაფონელებს სულზე მიუსწრო, ზვიად ენდელაძე კი ასგოლიან ბომბარდირთა ამქარში გაერია.

მწვრთნელის თქმით, ჩემპიონატის დაწყებამდე „მეტალურგმა“ შესაძლოა, 2-3 გამოცდილი მოთამაშეც დაიმტკიცოს.

**იუზა კაციტაძე**



ზაურ ჩუბინიძე

# ჯერ ცხრიანი

## დანარჩენი მერე იყოს



ლუიჯი სარტორი ამ ზაფხულის ჯერჯერობით უძვირესი შენაძენია

**მსოფლიოს ჩემპიონატი** ჩამთავრდა და იტალიური კლუბებიც ფეხბურთელების გაცვლა-გამოცვლაზე გადაერთნენ. ჯერჯერობით სერია A-ში რაიმე ხმაურიანი, ძვირი ტრანსფერი არ განხორციელებულა. კლუბები ძირითადად კონტრაქტგასულ ფეხბურთელებს და იჯარით ასაყვანებს ათვალიერებენ. დიდი ტრანსფერების დრო კი, ალბათ, მალე მოვა.

შესაძლო ხმაურიანი ტრანსფერი „სკუადრა აძურას" დაცვის ბურჯებს, კანავაროსა და ნესტას ეხებათ. პარმელისა და ლაციოელისთვის „იუვენტუსი", „მილანი" და „ინტერი" იბრძვიან, თუმცა ჯერჯერობით კანავაროც და ნესტაც თავის ძველ კლუბებში რჩებიან.

დღესდღეობით ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი „პარმადან" „რომაში" ლუიჯი სარტორის ცხრა მილიონ დოლარად გადასვლაა. „პარმა", ვის ფინანსურ კრიზისზე ადრეც ვწერდით, არგენტინელ მატიას ალმეიდასაც დაემშვიდობა. იგი „ინტერში" გადავიდა, ხოლო სლოვაკი გრეშკო, პირიქით, „ინტერიდან" „პარმაში" გადავიდა.

საერთოდ, მილანური კლუბები ჯერჯერობით ყველაზე აქტიურები არიან იტალიაში. შეგახსენებთ, რომ „მილანიდან" „ბარსელონაში" განათხოვრებული ფრანჩესკო კოკო „სან სიროს" დაუბრუნდა, ოღონდ „როსონერის" ნაცვლად „ნეროაძურის" ფორმას მოირგებს ანუ „მილანმა" კოკო თანაქალაქელ „ინტერს" კლარენს ზეედორფში გაუცვალა.

მილანურ კლუბებს შორის გაცვლა-გამოცვლაში ხორვატი დარიო შიმიჩი და თურქი დავალა უმითიც მოჰყვნენ. „ინტერმა" შიმიჩი „მილანში" გაუშვა, ხოლო მის ნაცვლად „მილანიდან" წაყვანილი თურქი დავალა უმითი, მიუხედავად თურქეთის ნაკრების სამუნდიალო გმირობისა, თურქულ „გალათასარაის" მიაქირავა.

„რომამ" კი პერუჯელი თავისუფალი აგენტი, ბერძენი მცველი ტრაიანოს დელასი და ბრეშელი პეპ გვარდიოლა დაიმატა.

**სერგო ძორიძე**

# აბა, პასპორტი მაჩვენე!

# ყველა გზა აგენტთან მიდის

**ხუან სებასტიან ვერონს** ძველი საპასპორტო სკანდალი გაუხსენეს და იტალიის სასამართლოში დაიბარეს. პირველი მოსმენა 12 ივლისს რომში გაიმართება, თუმცა თავად არგენტინელი პროცესს არ დაესწრება. ვერონის ინტერესებს სხდომაზე მისი ადვოკატი, მარჩელო პატრელი დაიცავს.

შეგახსენებთ, რომ ვერონი ჯერ კიდევ „ლაციოში" თამაშისას ყალბი იტალიური პასპორტის ქონაში დაადანაშაულეს. მართალია, შარშან ამ დროს ვერონის იტალიურ პასპორტზე ლაპარაკი თითქოს შეწყდა, მაგრამ ახლა სასამართლომ საქმის ბოლომდე მიყვანა გადაწყვიტა და ვერონთან ერთად ერთ-ერთ მომდევნო მოსმენაზე „ლაციოს" პრეზიდენტი სერჯო კრანიოტიც დაიბარა.

— ვერონს პასპორტის გაყალბებასთან რაიმე კავშირი არ აქვს. პასპორტი „ლაციოსა" და ვერონის არგენტინელი აგენტის გაკეთებულია. საერთოდაც ვერონს იტალიური პასპორტი არც სჭირდება, ის დიდი ფეხბურთელია და ნებისმიერ ქვეყანაში შეუძლია თამაში — განაცხადა ვერონის ადვოკატმა.

პარტელისავე თქმით, ვერონმა 2000 წლის სექტემბერში იტალიის მოქალაქეობა კლუბის დავალებით ითხოვა.

— იტალიური კანონით, ვერონს პატიმრობა ნამდვილად არ შეეფარდება, რადგან შემთხვევიდან ორი წელია გასული — დასძინა პარტელიმ.

თავის მხრივ, ლაციოს პრეზიდენტი კრანიოტი და კლუბის ადვოკატი უგო ლონგოც ყველაფერს ფეხბურთელის აგენტს აბრალებენ.

„კრანიოტი არაფერ შუაშია. ის ამ საქმეში არც კი გარეულა. ყალბი პასპორტის თაობაზე არგენტინელის აგენტს უნდა მიმართოთ" — თქვა ლონგომ.

ჯერჯერობით ასეა, იტალიელი იურისტების აზრით, ეს საქმე, რომელიც უკვე ორი წელია, ვერ დასრულდა, კიდევ კარგა ხნით გაიწელება.

**სერგი ძორიძე**



ხუან სებასტიან ვერონს მოსვენებას არ აძლევენ

# შემთხვევითობას დავამტკიცებთ

## მანჩინიმ ლიდერი დაასახელა

*ზაფხულის მთავარი თემა, მაშინ, როცა მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულებულია, ცხადია, ტრანსფერებია და ის, თუ როგორ ემზადებიან კლუბები ახალი სეზონისთვის. რომის „ლაციოს" პრობლემებზე მისი ახალი მწვრთნელი რობერტო მანჩინი საუბრობს. ცნობისთვის, „ლაციოში" უკვე მოხდა საკადრო ცვლილებები. გუნდში მივიდა ხუთი ახალი ფეხბურთელი — ხუან პაბლო სორინი, მასიმო ოდო, რობერტო ბარონიო, ემანუელე პეზარეზი და კრისტიან მანფრედინი. ხოლო „სტადიო ოლიმპიკო" ჯერ მხოლოდ ორმა — ივან დელა პენიამ და კარელ პობორსკიმ დატოვეს*



რობერტო მანჩინი

**— რით გამოირჩევა თავს სატრანსფერო ბაზარზე „ლაციო"?**

— გვსურს, რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი დავიმატოთ. რამდენიმე მოთამაშე უკვე შევარჩიე, (რომაულმა კლუბმა გაავრცელა ცნობა, რომ დაინტერესებულია „უდინეზედან" რობერტო მუცის გადაყვანით), არ გამოვრიცხავ, მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით მოთამაშე ფეხბურთელებიც შევიძინოთ. მაგრამ, ალბათ, ზოგიერთი ფეხბურთელის გაშვებაც მოგვიწევს (უპირველეს ყოვლისა, დიეგო სამეონე და გაიზკა მენდიეტა იგულისხმება).

**— დატოვებს თუ არა გუნდს ალესანდრო ნესტა?**

— გაზეთებში ყოველდღე ვკითხულობ, რომ ნესტა ვიღაცამ იყიდა და უკვე რამდენი ხანია, ასე გრძელდება. კაპიტანი კი, კვლავ გუნდშია, ამიტომ ამ თემაზე საუბარს აზრი არ აქვს.

**— და მაინც, თუ ნესტა წავა, ალბათ, დაცვას ძალიან გაუჭირდება...**

— თადარიგში არაერთი მაღალი კლასის მცველი გვყავს, თუმცა ამ საკითხზე ფიქრი ჯერჯერობით არ მჭირდება, რადგან ნესტა კვლავაც „ლაციოს" ფეხბურთელია.

**— რივალდოს გადმოყვანაზე არ ფიქრობთ?**

— რივალდო უძლიერესი ფეხბურთელია და მან ეს მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაამტკიცა. ფიქრი კი ყველაფერზე შეიძლება, მთავარი საქმეა. რივალდოსთან და „ბარსელონასთან" კი საქმე არ დაგვიჭერია.

**— ვის ისურვებდით ნახევარდაცვაში, რივალდოს სტილის მოთამაშეს თუ მაგალითად, ვერონისა?**

— ძნელი სათქმელია, ორივე ერთად აჯობებდა.

**— ვინ იქნება „ლაციოს" ახალი ლიდერი?**

— ამ ბოლო ხანს ძალიან მომწონს სტანკოვიჩი, მგონია, რომ მას აქვს პოტენცია, შეტევის ლიდერი გახდეს, ნახევარდაცვის ყველა წერტილშიც შეუძლია თამაში. ასევე ძლიერია, უკან დახეული ფორვარდის პოზიციაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს სტეფანო ფიორეც, მჯერა, რომ მომავალ სეზონში „ლაციოში" წარმატებული თამაშით ის იტალიის ნაკრებშიც დაიბრუნებს ადგილს და საყოველთაო მოწონებასაც დაიმსახურებს.

**— კიდევ ვის მიიჩნევთ ამ სეზონის ფავორიტად?**

— მანფრედინის („კიევოდან" ახალშეძენილი ნახევარმცველი). ნიჭიერი და გამოცდილი ფეხბურთელია. დარწმუნებული ვარ, ამ სეზონში ის „ლაციოს" ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად იქნება.

**— კიევოელ ერიბერტოსთან კონტრაქტი ჯერ ვერ გააფორმეთ...**

— ის ძალიან ძლიერი მარჯვენა ნახევარმცველია. შარშან სერია A-ში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, გოლის გატანაც შეუძლია. ვიმედოვნებ, მას ხელში ჩავიგდებთ.

**— სეზონის წინ გუნდში რა განწყობაა?**

— ყველა მოუთმენლად ელის ჩემპიონატის დაწყებას. მეც ასე ვარ და მომავალს იმედიანად ვუყურებ. ყველას სურს, დაამტკიცოს, რომ შარშანდელი ჩავარდნა შემთხვევითობა იყო.

**თარგმნა ირაკლი მიძუაშ**



დეიან სტანკოვიჩს (მარჯვნივ) „ლაციოს" ლიდერობას უქადიან

# მილანის დიდება ციხეში?

**გეხსომებათ**, იტალიური „მილანის" ჰოლანდიური სუპერტრიო, 80-იანების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში რომ ბრწყინავდნენ — მარკო ვან ბასტენი, რუუდ გულიტი და ფრანკ რაიკარდი.

„მფრინავი ჰოლანდიელები" აპენინებზე ყოველთვის ახსოვდათ, არც ახლა დაივიწყეს და... სასამართლოში დაიბარეს, „მილანში" რომ ბურთაობდით, როგორ არ გვახსოვს, უბრალოდ, „მცირე საქმე" გვაქვს გასარჩევიო.

მაინც რა საქმეა, რომელიც ახლა გასკდა? თურმე ვან ბასტენი, გულიტი და რაიკარდი კლუბში კუთვნილ ხელფასს რომ იღებდნენ, გადასახადებს თავს არიდებდნენ.

ფაბიო ბელონი, ჰოლანდიური ტრიოს ვექილი გახლავთ. მან სააგენტო „როიტერს" განუცხადა: „სასამართლო პროცესი 27 სექტემბერსაა დანიშნული. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მარკო ვან ბასტენს, რუუდ გულიტს და ფრანკ რაიკარდს სამთვიანი პატიმრობა ელით, თუმცა თუ თითოეული 1500 ევროს გადაიხდის, პატიმრობისგან თავს დაიხსნის."

ლეგენდალური ფეხბურთელებისთვის ზემოხსენებული თანხა უბრალოდ სასაცილოა, თუმცა უფრო სასაცილო ის იქნება, თავი ახლაც რომ აარიდონ გადასახადს.

27 სექტემბრის პროცესზე ვან ბასტენ-გულიტ-რაიკარდის ტრიოს გარდა, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანისაც დაჰკითხავენ. სასამართლოში ჰოლდინგური კომპანია „ფინინვესტის" (რომლის მფლობელიც იტალიის პრემიერ-მინისტრი და „მილანის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონია) ექვსი თანამშრომელი და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელია გამოძახებული, რომლებიც ჰოლანდიური ტრიოს მხარდამხარ თამაშობდნენ „მილანში", ხოლო კონკრეტულად ვინ, არ დაუსახელებიათ.

**გიორგი მუზაძიძე**



რუუდ გულიტს, მარკო ვან ბასტენს და ფრანკ რაიკარდს ვალი გაუხსენეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქუნინიო „მიდლსბროში" მესამედ მივიდა

# ატლეტიკო დანებდა

## მსოფლიოს ჩემპიონი მიდლსბროსთვის

**მადრიდის** „ატლეტიკოს" თავკაცობამ, რომელიც აქამდე ძალიან დიდი მონდომებით ცდილობდა „ბოკა ხუნიორსის" ვარსკვლავის ხუან რომან რიკელმეს ყიდვას, ახლა გამოაცხადა, ამ განზრახვაზე ხელი ჩავიქნიეთო. სავარაუდოა, რომ 24 წლის თავდამსხმელი სწორედ იმ კლუბში გადავა, რომელმაც პირველმა დაადგა თვალი და თავის დროზე კონტრაქტის გაფორმებამდე სულ ცოტა დააკლდა — „ბარსელონაზე" მოგახსენებთ.

„რიკელმეს შესაძენად სხვა კლუბებთან პაექრობას აღარ ვაპირებთ. თუ სურს, შეუძლია გადავიდეს „ბარსელონაში" — განაცხადა პრიმერადივიზიონში რიხით დაბრუნებული კლუბის რიხიანმა პრეზიდენტმა ხესუს ხილმა.

თავის მხრივ რიკელმეს შესაძენად, რომელიც არგენტინის ნაკრების სამსოფლიოსჩემპიონატო განაცხადში მარსელო ბიელსას ახირების გამო ვერ მოხვდა, კატალონიური კლუბი ძალას არ იშურებს. „ხუანი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და ყველა ღონეს ვიხმართ, მის „კამპ ნოუზე" მოსაყვანად" — ბრძანა „ბარსას" ყოფილმა მწვრთნელმა, ახლა კი ტექნიკურმა დირექტორმა კარლოს რექსაჩმა.

რიკელმეზე უარის თქმის შემდეგ ხმები დაირხა, რომ მადრიდული კლუბი კვლავ დაიბრუნებს „მილანიდან" ხოსე მარის, რომელმაც სერია A-ში თავი ვერაფრით გამოიჩინა და თავად ფეხბურთელსაც გული მშობლიური კლუბისკენ მიუწევს. მით უმეტეს, არც „მილანი" ახევს კალთებს.

ხოლო „ატლეტიკო" მსოფლიოს ჩემპიონმა ჟუნინიომ დატოვა. 27 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც ბოლო წლებში თავადაც აერია თავგზა სამ კლუბს — „ატლეტიკოს", „მიდლსბროსა" და „სან პაულუს" შორის გადასვლა-გადმოსვლით, ახლა მეორედ გადაწყვიტა „მიდლსბროში" დაბრუნება. ცნობისთვის, ჟუნინიომ პირველად 1995 წელს მოუსინჯა პრემიერლიგას კბილი, როცა „სან პაულუდან" „ბოროში" 5 მილიონ გირვანქად ჩაირიცხა. შემდეგ ბრაზილიელმა ინგლისი დატოვა, რათა 1999 წელს კვლავ დაბრუნებულიყო „მიდლსბროში". შემდეგ ისევ გამოეთხოვა პრემიერლიგას, მოიარა „სან პაულუ", მადრიდის „ატლეტიკო" და მომავალ სეზონს კვლავ „მიდლსბროში" შეხვდება.

**ნიკა ზუბლაძე**

# სოუზა ნელ-ნელა ჩაქრა



პაულუ სოუზა

**პორტუგალიელმა** ნახევარმცველმა პაულუ სოუზამ 31 წლისამ კარიერა დაასრულა. ფეხბურთელმა ვერაფრით მოირჩინა ტრავმა, რომელიც მას ორ წელიწადს სტანჯავს. სწორედ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოტოვა სოუზამ ბოლო ორი უმნიშვნელოვანესი სანაკრებო ტურნირი — ევრო 2000 და განვლილი მსოფლიოს ჩემპიონატი.

„მიჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ ფეხბურთს უმაღლეს დონეზე ველარასდროს ვითამაშებ. ექიმების ყოველგვარი მცდელობა უშედეგო გამოდგა" — განაცხადა ფეხბურთელმა, რომელიც ბოლოს „ესპანიოლში" ირიცხებოდა, თუმცა პორტუგალიის ნაკრების ყოფილი ლიდერი მანამდე არაერთ ბევრად დიდ კლუბში თამაშობდა.

თავის დროზე სოუზა ლისაბონის ორივე სუპერკლუბის, „ბენფიკასა" და „სპორტინგის", ასევე ტურინის „იუვენტუსის", დორტმუნდის „ბორუსიას", მილანის „ინტერის", „პარმასა" და ბერძნული „პანათინაიკოსის" წევრი იყო.

**ნიკა ზუბლაძე**




ქირავდება
აგარაკი
კოჯორში

წაიყვანეთ ბავშვები,
უკეთეს ადგილს სად ნახავთ
ფასი არ შეგაშინებთ
ტ: 899 91-66-11; 29-35-80 (საღამოს)


# ბარსელონას სამმაგი გაცვლა აბელარდოს რომ არ მოეწყინა



რიშარ დუტრუელი

**ევროპის** საზაფხულო სატრანსფერო სეზონი ჩვეულ საინტერესო და დაძაბულ რიტმში შედის. გუშინ ესპანეთში ერთი ნაკლებად ხმაურიანი ტრანსფერი განხორციელდა. ორი წლის წინ, ვიგოს „სელტას" ძირითადი მეკარე რიშარ დუტრუელი „ბარსელონაში" გადავიდა, მაგრამ ფრანგისთვის კატალონიაში გატარებულმა დრომ ფაქტობრივად ფუჭად ჩაიარა, შარშან კარს ძირითადად არგენტინელი რობერტო ბონანო და ესპანელი ხოსე მანუელ რეინა იცავდნენ.

ასე რომ, დუტრუელი იძულებული შეიქნა, „ბარსასთან" კონტრაქტი გაეწყვიტა. მან ბედი სამი წლით ბასკურ „ალავესს" დაუკავშირა. სხვა სატრანსფერო დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

ფრანგს ვიტორიაში ყოფილი თანაგუნდელი აბელარდო ფერნანდესი დახვდება, რომლის კატალონიური კარიერა ლუის ვან გაალის მეორედ მისვლას შეეწირა. ბასკებმა წინა სეზონში მე-7 ადგილი დაიკავეს და წლეულს 81-წლიანი ისტორიის მანძილზე მეორედ ითამაშებენ უეფას თასზე. ევროპაში მათი პირველი გასვლა, გეხსომებათ, უეფას თასის ფინალით დამთავრდა.

კატალონიელებისთვის კი დუტრუელის გაშვება მეკარეთა სამმაგი ტრანსფერის ნაწილი გამოდგა — პორტუგალიური „ბენფიკადან" გერმანელი კარის დარაჯი რობერტ ენკე გადაიბირეს, ხოლო ხოსე მანუელ რეინა კი „ვილიარეალში" გაუშვეს.

**ზურაბ რუხაძე**



რონალდ კურბისს თავისუფლება ძვირად შეუფასეს

# კურბისს ხალხი დაუთვალეს

**ან მწვრთნელი იყავი**, ან ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვას მიჰყევი ხელი, ორივე ერთად კი არ გამოვა.

ვერ შეისმინა ეს სიბრძნე საფრანგეთის პირველი დივიზიონის ახალწვეული „აიაჩოს" დამრიგებელმა რონალდ კურბისმა და დაისაჯა.

რონალდ კურბისი ფრანგულ ფეხბურთში უბრალო კაცი არ არის, ის ხომ მარსელის „ოლიმპიკს" წვრთნიდა 1997-99 წლებში და შარშიც ამ კლუბში საქმიანობის გამო გაეხვია.

ამჯერადაც პოლიციამ ის კორუფციაში დაადანაშაულა და ორი დღით სატუსაღოში აყურყუტა. რატომ ორი დღით? კურბისის ვექილი მიდგა-მოდგა და გუშინ კლიენტი 770 000 ევროს საფასურად თავდებით გაათავისუფლა.

კურბისს ევროების დაყაჭვა არ აკმარეს და მწვრთნელობასაც ჩამოაშორეს.

„ძალიან მკაცრი გადაწყვეტილებაა. ეს იგივეა, მეპურეს პურის ცხობაში ხელი შეუშალო იმ მიზეზით, რომ ის ამას ჩქარა აკეთებს" — გაწიწმატებულია მუსიე როლანდი.

კურბისს შემდეგ შავბნელ საქმეებში ადანაშაულებენ:

1997-99 წლებში „ოლიმპიკმა" სამი უცხოელი შეიძინა — განელი არტურ მოშე, პარაგვაელი რიკარდო როხასი და კოტ დივუარის მკვიდრი იბრაჰიმ ბაკაიოკო. გამომძიებლები იმაზე იმტვრევენ თავს, კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ მოშე მყისვე რატომ გაანათხოვრეს „ტულონში", მერე კი გერმანულ „ფორტუნაში".

მოშემ ერთი მატჩის ჩატარება მაინც მოასწრო „ოლიმპიკში", ხოლო როხასს საერთოდ არ დაუდგამს ფეხი „ველოდრომზე".

ბაკაიაკო კი ერთადერთია, რომელმაც მართლა დანამა ოფლით „ოლიმპიკის" მაისურა. ამ კლუბში მისი ტრანსფერი 5,3 მილიონი დოლარი დაჯდა, მაგრამ რატომ მიიღო სოლიდური ჰონორარი აგენტმა ჟილბერტო საუმ, რომელსაც გარიგებაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია?

მოკლედ, გამოძიებას მიაჩნია, რომ ფინანსური მაქინაციებით ვილაც-ვილაცეებმა ხელი მოითბეს და ერთ-ერთი მათგანი რონალდ კურბისიც უნდა იყოს. კურბისი კი ჯიუტად ამტკიცებს, ამ საქმეში უდანაშაულო ვარო.

**დავით თავართქილაძე**



ინგლისი დევიდ სიმენის ამ შეცდომამ დაღუპა

# ხელები შორს სიმენისგან

**„არსენალის"** მწვრთნელ არსენ ვენგერს მიაჩნია, რომ დევიდ სიმენი ინგლისის საუკეთესო მეკარეა და ამიტომ მასთან კონტრაქტის გაგრძელებასაც ეშურება. ვენგერის აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ბრაზილიელი რონალდინიოსგან გაშვებული ბურთი სიმენის სისუსტეზე სულაც არ მეტყველებს: „ის გოლი ნებისმიერ მეკარეს შეიძლებოდა გაეშვა. ვფიქრობ, რონალდინიო ჩაწოდებას აპირებდა, მაგრამ ბურთი მოულოდნელად კარში ჩაეშვა. ამ კვირაში დევიდს დავურეკავ და ვეტყვი, რომ კორეა-იაპონიაში ცუდად არ უთამაშია. „არსენალს" ის ისევ სჭირდება" — ამბობს ვენგერი.

ფრანგ მწვრთნელს ინგლისელთა შვედი დამრიგებელი სვენ გორან ერიკსონიც ეთანხმება და დასძენს, თუ სიმენი თავისი გუნდის ძირითადში ითამაშებს, არც ნაკრებში დავამადლით ადგილსო.

სიმენი, ვისაც შარშანდელი სეზონის პირველი ნახევარი მხარის ტრავმის გამო გაუცდა, უკვე 12 სეზონია, „არსენალში" თამაშობს და 19 სექტემბერს 39 წლისა გახდება. ბრაზილიასთან მეოთხედფინალში კი, გეხსომებათ, მართლაც უცნაური ბურთი გაუშვა, ხოლო მატჩის შემდეგ მისი ალალი ცრემლი მთელმა მსოფლიომ იხილა.

„ივნინგ სტანდარდთან" ინტერვიუში ვენგერმა ისიც თქვა, ამ დღეებში ნახევარმცველ რობერ პირესსაც უნდა დაველაპარაკოო. პირესს, გეხსომებათ, მყესი აწუხებს და ამჟამად სამხრეთ საფრანგეთში, „სენტ რაფაელის" კლინიკაში მკურნალობს. მას „არსენალთან" კონტრაქტი 2004 წლამდე აკავშირებს, მაგრამ ვენგერს, უკვე აქედანვე, ხელშეკრულების კიდევ 12 თვით გახანგრძლივება სურს.

**სოლომონ გულისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საეს, ტო?!
## ესპანეთმა მწვრთნელი ორ საათში მოიფიქრა



ინაკი საესს ევროპის ჩემპიონატი ჩააბარეს

**ესპანელ** 21-წლამდელთა მწვრთნელმა ინაკი საესმა განაცხადა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული გუნდის გაძღოლა დამავალაო. ლაპარაკია ორწლიან კონტარქტზეა. ეს ამბავი კი გუშინ გაცნობეთ.

„მათ მითხრეს, რომ ამ თანამდებობისთვის შესაფერისი კანდიდატი ვარ და, სურთ, ევრო 2004-ზე გუნდი მე გავიყვანო" — განუცხადა საესმა „მარკას".

მოგეხსენებათ, სამშაბათს, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან ხოსე ანტონიო კამაჩო გადადგა. ის 1998 წლიდან მუშაობდა ეროვნული გუნდის თავკაცად, მსოფლიოს ჩემპიონატზე კორეასთან დამარცხებიდან ათ დღეში კი სამსახურიდან წავიდა. კამაჩომ განაცხადა, რომ საკლუბო ფეხბურთში ტრიალი მოენატრა.

შეიქმნა სრული შთაბეჭდილება, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია კამაჩოს თანამდებობიდან წასვლას არ ელოდა და მის შემცვლელზე ნაფიქრიც კი არ ჰქონდა. თავად ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილიარმა ბრძანა, რომ მწვრთნელის გადადგომის ამბავი ორშაბათს საღამოს შეიტყო, ხოლო ზემოხსენებულმა საესმა დასძინა, რომ მას ვაკანტური ადგილი დანიშვნამდე ორი საათით ადრე შესთავაზეს.

საესი: „ეს სრული მოულოდნელობა გახლდათ, თუმცა კამაჩოს, თავისი გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, კარგად ჰქონდა აწონდაწონილი."

ვინ იცის, ფედერაციას კამაჩოს შემცვლელზე ფიქრი ცოტა ადრე რომ დაეწყო, ბევრ კანდიდატს იქნებ ამა თუ იმ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება არც ეჩქარა. კერძოდ, ლუის არაგონესი, რომელსაც ნაკრების გაძღოლას, ჯერ კიდევ კამაჩოს დანიშვნამდე სთავაზობდნენ, „ატლეტიკოშია" გაბმული, ხავიერ ირურეტა — „დეპორტივოში", ხოლო „სელტას" ყოფილმა თავკაცმა, ვიქტორ ფერნანდესმა „რეალ ბეტისს" ორწლიან ხელშეკრულებაზე სულ ახლახან მოუწერა ხელი.

ამრიგად, ყველაზე განთქმული ესპანელი მწვრთნელები დაკავებულნი აღმოჩნდნენ, ხოლო უცხოელის გაგონება პრეზიდენტ ვილიარის არ სურს. დარჩა საესი!

საესი: „ეს ყველაფერი ჩემთვის ორი დღით ადრე რომ ეთქვათ, არ დავიჯერებდი. დღეს კი უკვე ფაქტია. თან, ახალგაზრდებთან ურიგოდ არ მიმუშავია და, როგორც ჩანს, ფედერაცია ამანაც წაახალისა".

საესი ბილბაოს „ატლეტიკის" მცველი გახლდათ. ნაკრებში 1968 წელს სამჯერ ითამაშა, ხოლო მწვრთნელობა მადრიდის „ატლეტიკოში" დაიწყო. 80-იან წლებში მას ახალგაზრდები ანდეს, 1996 წლის თაობასთან გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. ახლა, საესის უპირველესი ამოცანა ნაკრების ევრო 2004-ზე გაყვანაა. შეჯიბრება სექტემბერში იწყება, თუმცა აგვისტოში უნგრეთთან ამხანაგური შეხვედრაც არის დანიშნული. წლეულს ორი ოფიციალური მატჩია, ჩრდილო ირლანდიასთან და საბერძნეთთან, კიდევ ორი გუნდი, რომელთანაც ესპანელებს გაჯიბრება მოუწევთ, უკრაინა და სომხეთია.

**ბაჩუნა ძიდია**



რონალდ კუმანი საახალსეზონო მოძღვრებას შეუდგა

# აიაქსის ახალი ტაქტიკა
## ნამცხვარი უკრემოდაც იჭმევა

**ლეგენდარული** ამსტერდამის „აიაქსი", რომელიც ბოლო წლებში ვერა და ვერ იბრუნებს ძველ დიდებას, ახალი სეზონისთვის გუშინწინ შეიკრიბა. გუნდის მწვრთნელმა რონალდ კუმანმა კი წესისამებრ, პრესკონფერენცია გამართა და ძალიან ყოჩაღად, თამამად ილაპარაკა.

კუმანმა ჯერ ახლახან ჩამთავრებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე თქვა: „ყველამ კარგად დაინახა, რომ ჰოლანდიის ნაკრები მუნდიალზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ მხოლოდ საკუთარი თავი უნდა დავადანაშაულოთ. ჩვენთვის ეს გაკვეთილი უნდა იყოს. უნდა შეველიოთ ძველ მიღწევებზე საუბარს."

ამსტერდამულ კლუბში სამი მუნდიალმოვლილი ფეხბურთელი ირიცხება — შვედი ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ტუნისელი ჰატემ ტრაბელსი და ამერიკელი ჯონ ობრაიენი. ამ ფეხბურთელებმა სულ მცირე, სამი კვირა უნდა დაისვენონ მას შემდეგ, რაც მათი ნაკრებები ჩემპიონატიდან გავარდნენო, ბრძანა კუმანმა.

აიაქსელთა მოძღვარმა მუნდიალზე ისიც თქვა, სხვებთან შედარებით დაბალი კლასის გუნდები თავიანთ უკლასობას ხასიათის, აგრესიულობის და აბსოლუტური ნებისყოფის ხარჯზე აბათილებდნენ, საუკეთესო ფეხბურთი კი კორეელებმა და თურქებმა შემოგვთავაზესო.

საინტერესო კუმანმა კიდევ ის თქვა, რომ ახალ სეზონში უფრო 4-4-2 სქემას დაეყრდნობა, ვიდრე 4-3-3-ს, რომელმაც კლუბს დიდება და ტიტულები მოუტანა. სხვათა შორის, წინა სეზონში „აიაქსი" სწორედ 4-3-3-ით თამაშობდა და ჰოლანდიის ჩემპიონობაც დაისაკუთრა და თასიც.

„პირველ რიგში მსურს, მომხიბლავი, შემტევი ფეხბურთი ვითამაშოთ. „აიაქსი" სწორედ ამით გახდა დიდი გუნდი. მერე კი გვინდა, პრიზები მოვიხვეჭოთ. რაც შეიძლება, კარგად უნდა გამოვიდეთ ჩემპიონატში და თასზე, ჩემპიონთა ლიგა კი ნამცხვარზე კრემი იქნება. ზოგადად, 4-3-3 სქემას მორგებული გარემარბებით თამაში მირჩევნია.

მხოლოდ კრემი თუ კრემიანი ნამცხვარი? — ჰკითხა ერთმა რეპორტიორმა კუმანს და პასუხიც მიიღო: „პირველ რიგში, ეროვნული ჩემპიონატის მოგებას ვეცდებით. ხოლო ჩემპიონთა ლიგაში რომელ ეტაპამდე გავაღწევთ, წილისყრაზეც იქნება დამოკიდებული. ჩვენ მხოლოდ სამი ისეთი ფეხბურთელი გვყავს, რომლებსაც ჩემპიონთა ლიგაში უთამაშიათ. მსოფლიოს ჩემპიონატმაც დაგვანახა, რომ პატარა გუნდები სინამდვილეში არც ისე პატარები არიან. „აიაქსი" პატარა გუნდია თუ არა? სახელს და ტიტულებს თუ მივიღებთ მხედველობაში, არა, მაგრამ თუ გუნდის ბოლოდროინდელ შედეგებს გადავხედავთ, პატარაა."

აიაქსელებს ახალი ფეხბურთელი ჯერჯერობით არ უყიდიათ, ახალწვეულები იჯარით ჰყავთ აყვანილი, მაგრამ ერთი მოთამაშის შეძენას ძალიან ეშურებიან — ვიქტორ სიკორა ჯერაც „ვიტესის" საკუთრებაა, მაგრამ მისი ყიდვა კუმანის დაჟინებული მოთხოვნაა.

ამსტერდამელები დამდეგი უქმეებიდან შეუდგებიან საკონტროლო მატჩებს. სპარინგები ჯერ მოყვარულთა გუნდები იქნებიან, 2 და 4 აგვისტოს კი აიაქსელებს „ბარსელონასთან" და „მანჩესტერთან" მოუწევთ შერკინება.

და ზლატან იბრაჰიმოვიჩი. ეს 20 წლის ფორვარდი „აიაქსის" უძვირესი შენაძენია, შვედი ამსტერდამელებმა ორი წლის წინ იყიდეს. მას თავისი სიძლიერის დამტკიცება სწორედ ამხანაგურ მატჩებში მოუწევს, რადგან ბოლო ხანს ძალიან მწვავედ აკრიტიკებენ.

„ზლატანი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ ამას ვერც ვარჯიშებზე ამტკიცებს და ვერც მატჩებში. იოჰან კრუიფმა ამას წინათ თქვა, რომ ის უმცროსკლასელივით თამაშობს და მე არ შემიძლია, ზლატანი უკეთესად შევაფასო" — დასძინა კუმანმა.

**დავით თავართქილაძე**



კორეის ნაკრები ფედერაციაზე მეტად ხალხმა დააფასა

# კორეას ფული დააკლეს
## ვინ გთხოვდათ, რომ იგებდითო

**სამხრეთ კორეის** ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების შესაძლებლობა ვერ გათვალა, რის გამოც ფეხბურთელებთან უთანხმოება მოუვიდა. მოგეხსენებათ, გუს ჰიდინკის შეგირდებმა მათთვის წარმოუდგენლად მაღალი ადგილი დაიკავეს წლევანდელ მუნდიალზე, ფედერაცია კი თითოეულ მოთამაშეს პრემიის სახით 250 ათას დოლარს შეჰპირდა.

უმნიშვნელო თანხა არ არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ მერვედფინალამდეა ნაანგარიშევი. ჩემპიონატის დაწყებამდე ფედერაციას ნაკრების ამაზე შორს წასვლა ვერ წარმოედგინა და ფეხბურთელებს დაპირებია, ჯგუფიდან თუ გახვალთ, 250-250 ათას დოლარს ჩაგითვლითო. კორეის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა, რისთვისაც დამატებით პრემიას, როგორც მიხვდით, ფეხბურელებს არ უხდიან.

„ფედერაცია მხოლოდ ძველ დაპირებას შეასრულებს" — თქვა მისმა წარმომადგენელმა. შეგახსენებთ, რომ არც ერთ აზიურ ნაკრებს არ ღირსებია მსოფლიოს ჩემპიონატზე ესოდენ მაღალი ადგილი, ხოლო კორეას ამ ჩემპიონატამდე ერთი თამაშიც ვერ მოეგო, არადა, მანამდე ზედიზედ ოთხ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა.

კორეელთა წარმატება კი მოგეხსენებათ, უპირველესად ნაკრების მწვრთნელის გუს ჰიდინკის დამსახურებაა. იგი კორეელთა ეროვნული გმირი შეიქნა და მართალია, პოსტიდან წავიდა, შესაძლოა, 2006 წლის მუნდიალამდე ნაკრებში კონსულტანტად იმუშაოს.

# მიეცი ფულს გზა ფართო

**სინგაპური** მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ნამდვილმა ტოტალიზატორულმა სიგიჟემ მოიცვა. მუნდიალის დაწყებამდეც ვწერდით, სინგაპურის მთავრობამ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ფსონების დადება ნებადართულად გამოაცხადაო (მანამდე ტოტალიზატორები იქ აკრძალული იყო). იქაურ მეფსონეებსაც მეტი რაღა უნდოდათ.

ადგილობრივ ტოტალიზატორებში წინა თვეში ფული ზღვად მიედინებოდა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — მსოფლიოს ჩემპიონატისას სინგაპურში დადებული ფსონების ოდენობამ 284 მილიონი დოლარი შეადგინა. და ეს მხოლოდ ლეგალურ ტოტალიზატორებში დადებული ფულია. იატაკქვეშა ტოტალიზატორებში ჩასულ მილიონებს კი ზუსტად აბა, ვინ დაითვლიდა.

საინტერესოა, რომ მხოლოდ ფინალურ მატჩზე 92 მილიონი დოლარი იყო დადებული. ცნობილია, რამდენიმე „გიჟი მეჯუშის" სახელი. ერთ-ერთი მათგანი, ჯიმი, მსოფლიოს ჩემპიონატის ყოველ მატჩზე ჯიბიდან 4-6 ათას დოლარს იღებდა.

სინგაპურელი მეფსონეების თქმით, უმსოფლიოსჩემპიონატოდ უკვე მოიწყინეს და მოუთმენლად ელიან ინგლისური პრემიერლიგის დაწყებას. პრემიერლიგა მსოფლიოს ჩემპიონატის გარდა ერთადერთი საფეხბურთო ტურნირია, რაზეც სინგაპურის ტოტალიზატორებში ფსონების მიღება დაშვებულია.



ზლატან იბრაჰიმოვიჩმა (მარცხნივ) თავი ვერც მუნდიალზე ისახელა

**სატრანსფერო მიდი-მოდი თურქულ ბაზარზე მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებშიც არ შეჩერებულა. თურქეთის სამი ბოლო კლუბი — „გალათასარაი“, „ფენერბაჰჩე“ და „ბეშიქთაში“ — ევროპულ სარბიელზე წარმატების მისაღწევად ფულს არ ზოგავს. „ფენერბაჰჩეს“ და „ბეშიქთაშს“ მოსვენება განსაკუთრებით მას მერე დაეკარგათ, „გალათასარაიმ“ ორი წლის წინ უეფას თასი რომ მოიგო. „გალას“ ალმასვლამ დანარჩენი ორის მეპატრონეებს ძილი დაუფრთხო. ამიტომაცაა, ყოველწლიურად გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობენ, თუმცა ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს**

# თურქი: მობილური ამაფცქვნეს! გერმანელი: ეღლაბუცე კონდიციონერს! რუმინელი: რა დაუმი, რის დაუმი!

**შარშან** „ფენერბაჰჩემ“ ჩემპიონთა ლიგაში შეაღწია, მაგრამ ექვსი მარცხით ისე შერცხვა, დღესაც შავ ლაქად აჩნია. „ბეშიქთაში“ მთელი წინა სეზონი ლიდერობდა ჩემპიონატში, ბოლოს კი, კრისტოფ დაუმის პრობლემების გადამკიდე, მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

ყოველივე ამას, ცხადია, ცვლილებები მოჰყვა. „ფენერბაჰჩემ“ შუა სეზონში მწვრთნელი მუსტაფა დენიზლი გერმანელი ვერნერ ლორანტით შეცვალა. „ბეშიქთაშმა“ ნაკოკაინარ კრისტოფ დაუმს სეზონის დასრულება აცალა, მერე კი მირჩა ლუჩესკუ მიიწვია. თავის მხრივ, „გალათასარაიში“ რუმინელი სპეციალისტის ადგილი უსაქმოდ მოარულმა ფათიჰ თერიმმა დაიკავა.

სტამბოლური კლუბების მწვრთნელებმა იციან, რომ ფეხბურთელების შესაძენად ბოსები ფულს არ იშურებენ და სასურველ მოთამაშეთა ნუსხებიც მიართვეს. ივნისში სტამბოლელი მსტოვრები მსოფლიოს მოედნენ. შედეგად, ახალი ტრანსფერებიც გაჩარხეს.

მუნდიალზე თურქეთის ნაკრების მესამე ადგილზე გასვლას თითქოს თურქ ფეხბურთელებზე მოთხოვნაც უნდა გაეზარდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მათ უმრავლესობას ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია, პირიქით, რამდენიმე სამშობლოშიც დაბრუნდა.

რიგის მიხედვით მივყვეთ და „გალათასარაით“ დავიწყოთ.

ფათიჰ თერიმმა გულში ჩემპიონთა ლიგის მოგება ამოიჭრა. „გალას“ აგენტები ჯერ სამხრეთ ამერიკას ეწვივნენ და იქაური ფეხბურთელები დაზვერეს. მათ სამი მოთამაშე შეარჩიეს — ერთი არგენტინელი, ორი ბრაზილიელი. ბრაზილიელთა საქმე უცბად მოგვარდა — ვინმე ფაბიო პინტუ და ფელიპე გადაიბირეს.

ფაბიო პინტუს სახელი, ისევე როგორც ფელიპესი, არაფერს გვეუბნება, თუმცა ფათიჰ თერიმი ირწმუნება, დიდი მომავალი აქვთ და ამას დავამტკიცებო:

„ჯერჯერობით მათ არავინ იცნობს. ჩემპიონთა ლიგის მატჩებში გამოჩნდება, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ. 21 წლის პინტუ და 26 წლის ფელიპე მართლაც მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან.“

თერიმს თურმე ფელიპე მაშინაც სდომებია, როცა „ფიორენტინაში“ მუშაობდა. ფაბიო პინტუს კი, თურქთათვის მოულოდნელად, სხვა პატრონი გამოუჩნდა. ესპანური პრესა იუწყება, ეს ბრაზილიელი ფეხბურთელი „ოვიედოს“ ეკუთვნისო. თურმე, ჯერ კიდევ 1999 წელს ბრაზილიური „ინტერნასიონალის“ ფეხბურთელთან, ფაბიო პინტუსთან 10-წლიანი (!) კონტრაქტი გაუფორმებიათ, მაგრამ მისი ესპანეთში წაყვანა არ უჩქარიათ. გამოდის, რომ მოთამაშე „ოვიედოს“ საკუთრებაა და აქედან გამომდინარე, სატრანსფერო თანხა ესპანელებს ეკუთვნით. ამ ამბავმა „გალათასარაის“ მეპატრონეები გააოცა, რადგან არც ფეხბურთელს და არც „ინტერნასიონალს“ „ოვიედოს“ თაობაზე არაფერი დასცდენიათ. თვითონ პინტუ აცხადებს, არანაირი კონტრაქტი „ოვიედოსთან“ არ მაკავშირებსო.

ახლა ორივე ბრაზილიელი თურქულ კლუბთან ერთად შეკრებაზე ავსტრიაში იმყოფება. „გალას“ აგენტები კი პრობლემის მოგვარებაზე მუშაობენ და, ალბათ, სათავისოდაც გადაწყვეტენ.

ავსტრიაში გამგზავრებამდე აეროპორტში, ჟურნალისტებთან ინტერვიუში, ფათიჰ თერიმმა დაიჩივლა, ეს წუთია, გაზეთების დამტარებელმა ბიჭებმა მობილური ტელეფონი ამწაპნესო.

ზემოთ არგენტინელიც ვახსენეთ. იგი „ველეს სარსფილდის“ ფორვარდი ნანი გახლავთ. თერიმს ისიც მოსწონებია, მაგრამ პირველ ცდაზე კლუბთან თანხაზე ვერ მორიგებულან. მოლაპარაკება გრძელდება და თუ შეთანხმდნენ, ნანი „გალათასარაის“ ავსტრიაში შეუერთდება.

ამ რია-რიაში „გალას“ ერთი ფეხბურთელი გაექცა. დიახ, გაექცა. ბიულენთ აქინი ექვსი თვის წინ დაშავდა. როგორც თვითონ ამბობს, ყურადღებას არავინ აქცევდა და მიივიწყეს. მას კი ფეხბურთის თამაში სურდა. ევროპაში ვითომ სამკურნალოდ წასულმა, თავი ბოლტონში ამოყო. „ბოლტონის“ მენეჯერი მას ადრეც რამდენჯერმე დაკავშირებია. ბიულენთმა იფიქრა, „გალათასარაიში“ მომავალი აღარ მაქვს, ბედს აქ ვცდიო და თურქთაგან უჩუმრად „ბოლტონთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სტამბოლში ეს ამბავი რომ გაიგეს, თმები ყალყზე დაუდგათ. ბიულენთი შარშანწინ 7 მილიონ დოლარად იყიდეს, ახლა კი მუქთად გაუსხლტათ. გადაქექეს საბუთები, მაგრამ აღმოჩნდა — ფეხბურთელს კონტრაქტის ვადა გასვლია და „გალათასარაიც“ მის სანაცვლოდ ვერაფერს მოითხოვს.

აი, ალფაი ოზალანი ინგლისიდან სამშობლოში ჩასვლას ლამობს — „ასტონ ვილას“ მცველს ფათიჰ თერიმმა უხმო. ბირმინგემელებმა მასში 15 მილიონი დოლარი მოითხოვეს. ალფაის თქმით, „ასტონ ვილა“ ევროთასზე არ გამოდის, მას კი ამბიცია მოსძალებია და „გალათასარაისთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში თამაში სურს. ინგლისელებსაც უთქვამთ, გადაიხადონ 15 მილიონი და სადაც გინდა, წადიო.

ამასობაში ალფაი ოზალანის მსურველთა შორის „ბარსელონაც“ გამოერია, მაგრამ ფეხბურთელს გული შინისკენ მიუწევს, რადგან იქ ფათიჰ თერიმი ეგულება.

თერიმის გარეშე ცხოვრება, როგორც ჩანს, არც ჰასან შაშს შეუძლია. მან რამდენიმე ევროპული წინადადება უარყო, სანამ „იმპერატორი“ „გალათასარაიში“ იქნება, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო.

წლის ყველაზე ხმაურიანი თურქული ტრანსფერი, ადრეც გაცნობეთ, „ფენერბაჰჩემ“ განახორციელა. არგენტინელმა არიელ ორტეგამ კლუბთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. სტამბოლის აეროპორტში ორტეგას ჩასვლას ისეთი ამბავი მოჰყვა, მარადონას ნეაპოლში ჩასვლა გეგონებოდათ. ატყდა ერთი ორომტრიალი. „ფენერბაჰჩეს“ ფანები ფეხბურთელს ეცნენ, რახან ცოცხალი ორტეგა იხილეს, ხელით შეხებას ლამობდნენ.

ორტეგას მსოფლიოს ჩემპიონატზე, ისევე როგორც მის ნაკრებს, თავი დიდად არ გამოუჩენია, თუმცა „ფენერის“ გერმანელ მწვრთნელ ვერნერ ლორანტს არგენტინელის იმედი აქვს და მასზე გუნდის აწყობასაც აპირებს: „ორტეგა უნიკალური ფეხბურთელია. მას მოედანზე ყველაფერი ძალუძს. ორტეგას და ჰაიმ რევივოს ვაშინგტონის პასებით მომარაგება დაევალება.“

და ვინ არის ვაშინგტონი? შეგახსენებთ, რომ ის ბრაზილიელი ფეხბურთელია, რომელსაც ნაკრებშიც უთამაშია. ლუიშ ფელიპე სკოლარის რჩეულებში ვერ მოხვდა და „ფენერბაჰჩემ“ შეიძინა.

„ფენერს“ სურდა, ორტეგას გვერდით მატიას ალმეიდასაც ეთამაშა, ვაშინგტონის გვერდით კი ჟილბერტო სილვას, მაგრამ მათი გადაბირება არ მოხერხდა.

სხვათა შორის, ერთ-ერთმა იტალიურმა გაზეთმა ირონიით აღნიშნა, ორტეგამ მსოფლიოს ჩემპიონატის სამივე მატჩში დაამტკიცა, რომ თანამედროვე ფეხბურთის არაფერი გაეგებაო. ვერნერ ლორანტმა იტალიელებს უპასუხა, ორტეგას კლასში ეჭვის შემტანი სულელიაო.

ერთხელ, გუნდის შეკრებაზე, გერმანელ სპეციალისტს „ფენერბაჰჩეს“ პრეზიდენტ აზიზ ილდირიმისთვის უთქვამს, ფიზიკურ კონდიციებზე ვმუშაობთო. მეორე დღეს, ხუმრობის ხასიათზე მყოფ ილდირიმს მწვრთნელისთვის უკითხავს, თუ საჭიროა, გუნდისთვის ერთ კონდიციონერს გიყიდიო. ლორანტმა ხუმრობა ვერ გაიგო და პრეზიდენტს საკმაოდ უხეშადაც უპასუხა.

არიქა, ორტეგა, არიქა, ვაშინგტონიო, იხუვლეს „ფენერბაჰჩეს“ გულშემატკივრებმა და გუნდის საშინაო თამაშების ყველა აბონიმენტი მყისვე გაიყიდა. გერმანელი მწვრთნელი ქომაგებს შეჰპირდა, ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს გიმზადებთო: „ფენერბაჰჩეს“ სახელს მთელი მსოფლიო გაიგებს, თუმცა კი ეს არცთუ იოლი საქმეა.“

მოკლედ, „ფენერბაჰჩეც“ და „გალათასარაიც“ ევროპის დაპყრობას ლამობენ. „ბეშიქთაშს“ რაღა? „შავი არწივი“ (კლუბის მეტსახელია) წმინდა თურქული დუეტით შეუტევს.

გაზეთი „ფანატიკი“ ამტკიცებს, ბეშიქთაშელები პარმაში ჩავიდნენ და ჰაქან შუქურთან სამსაათიან მოლაპარაკების შემდეგ ფეხბურთელს სამშობლოში დაბრუნებაზე თანხმობა დასტყუესო. შუქურს „ბეშიქთაშში“ ილჰან მანსიზი დახვდება. ის ილჰანი, მსოფლიოს ჩემპიონატზე სამი გოლი რომ გაიტანა. მას და ჰაქანს, კორეელებთან მატჩით თუ ვიმსჯელებთ, ერთმანეთის დიდებულად ესმით. ახლა სიტყვა „პარმაზეა“.

„შავი არწივის“ მწვრთნელი, მირჩა ლუჩესკუ გუნდის მომზადებით კმაყოფილია. მას ფეხბურთელებიც ემადლიერებიან, კრისტოფ დაუმი გამარჯობასაც არ გვეუბნებოდა, თქვენთან ურთიერთობა გაცილებით სასიამოვნოაო.

კლუბის პრეზიდენტმა სინან ერგინმა თქვა, რა დაუმი, რის დაუმი, კაცი ეს ყოფილაო.

**ვაჟა ხუციშვილი**



სტამბოლელი ფანებისგან არიელ ორტეგა პოლიციამ დაიცვა



ფათიჰ თერიმთან ალფაი ოზალანიც გარბის





ჰაქან შუქური „ბეშიქთაშში“ მოუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენიევიჩ, შთამომავლობა არ დაგივიწყებს

მილორად არსენიევიჩი თავის ამბავში გაგარინი იყო. ის პირველია, მას მერე ანალოგიური 55-მა ადამიანმა გაიმეორა, გაგარინის გზას კი იმდენი დაადგა, კოსმონავტებისა და მათთან დამგზავრებული ტურისტების რიცხვი სათანადო ორგანოებსლა თუ ახსოვთ.

ეს 1950 წელს მოხდა, როცა სერბმა არსენიევიჩმა შორეულ ბრაზილიაში თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდი წაასხა მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ. მაშინ პირველად მოხდა, რომ ერთმა კაცმა მსოფლიოს უმთავრეს საფეხბურთო შეჯიბრზე როგორც მოთამაშემ (1930 წელს) და როგორც მწვრთნელმა მიიღო მონაწილეობა.

დღეს ასეთთა რიცხვი 56-ია. წინა კვირაში გასრულებულ მუნდიალზე ამ უნიკალურმა სიამ რვა ახალი წევრი შეიმატა: სლოვენიელი სრეჩკო კატანეცი, მექსიკელი ხავიერ აგირე, ესპანელი ხოსე ანტონიო კამაჩო, კოსტარიკელი ალეშანდრე გიმარაეში, ირლანდიელი მიკ მაკარტი, დანიელი მორტენ ოლსენი, იტალიელი ჯოვანი ტრაპატონი და გერმანელი რუდი ფიოლერი. სიტყვამ მოიტანა და, ამ უკანასკნელს მთლად უიშვიათეს „მოლვაწეთა" გვერდში ამოდგომა შეეძლო, მაგრამ გერმანიამ ფინალი დათმო და მარიო ზაგალოსა და ფრანც ბეკენბაუერის მიღწევა – ორივე სტატუსით ჩემპიონობა – ფიოლერისთვის ჯერჯერობით ოცნებად დარჩა.

საერთოდ, ამ 56 კაციდან მხოლოდ ათია, მსოფლიოს ჩემპიონად რომ იწოდება. ჯოვანი ფერარიმ (1934, 38), ალფრედო ფონიმ (1938), ჯეკი ჩარლტონმა (1966), ბერტი ფოგტსმა (1974), დანიელ პასარელამ (1978, 86) და რუდი ფიოლერმა (1990) ეს მოთამაშეობისას შეძლეს, სერ ალფ რამსეი კი ინგლისის მწვრთნელი გახლდათ 1966 წელს. ბეკენბაუერზე და ზაგალოზე ზემოთ ვთქვით.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ბარემ სრულ სიას გაეცანით და დასკვნებიც, თუ გნებავთ, თავად გამოიტანეთ.

| სახელი, გვარი | ქვეყანა | ფეხბურთელობისას | მწვრთნელობისას |
|---|---|---|---|
| ხავიერ აგირე | მექსიკა | 1986 | 2002 |
| მილორად არსენიევიჩი | იუგოსლავია | 1930 | 1950 |
| ფრანც ბეკენბაუერი | გფრ | 1966, 70, 74 | 1986, 90 |
| ორვარ ბერგმარკი | შვედეთი | 1958 | 1970 |
| ბილი ბინგემი | ჩრდ. ირლანდია | 1958 | 1982, 86 |
| ბობი რობსონი | ინგლისი | 1958 | 1986, 90 |
| ხრისტო ბონევი | ბულგარეთი | 1970, 74 | 1998 |
| ხოსე ანტონიო კამაჩო | ესპანეთი | 1982, 86 | 2002 |
| ვლადისლაო კაპი | არგენტინა | 1962 | 1974 |
| რაულ კარდენასი | მექსიკა | 1954, 58, 62 | 1970 |
| პაულო სეზარ კარპეჯანი | ბრაზილია | 1974 | 1988 (პარაგვაი) |
| ბუმ-კუნ ჩა | ს. კორეა | 1986 | 1998 |
| ჯეკი ჩარლტონი | ინგლისი | 1966, 70 | 1990, 94 (ორჯერვე ირლანდია) |
| ვალდირ პერეირა დიდი | ბრაზილია | 1954, 58, 62 | 1970 (პერუ) |
| ჯოვანი ფერარი | იტალია | 1934, 38 | 1962 |
| ალფრედო ფონი | იტალია | 1938 | 1966 (შვეიცარია) |
| აურელიო გონსალესი | პარაგვაი | 1930 | 1958 |
| ალეშანდრე გიმარაეში | კოსტა რიკა | 1990 | 2002 |
| ერნსტ ჰაპელი | ავსტრია | 1954, 58 | 1978 (ჰოლანდია) |
| ჯოზეფ ჰიკერსბერგერი | ავსტრია | 1978 | 1990 |
| გლენ ჰოდლი | ინგლისი | 1982, 86 | 1998 |
| ხოსე ედუარდო ხოხბერგი | ურუგვაი | 1954 | 1970 |
| ჰენრი კასპერჩაკი | პოლონეთი | 1974, 78 | 1998 (ტუნისი) |
| სრეჩკო კატანეცი | სლოვენია | 1990 (იუგოსლავია) | 2002 |
| ჰიუნგ-სუკ კიმი | ს. კორეა | 1986 | 1998 |
| ჩეზარე მალდინი | იტალია | 1962 | 1998, 2002 (პარაგვაი) |
| მიკ მაკარტი | ირლანდია | 1990 | 2002 |
| კალმან მესეი | უნგრეთი | 1962, 66 | 1982 |
| ანრი მიშელი | საფრანგეთი | 1978 | 1986, 94 (კამერუნი), 98 (მაროკო) |
| ოლე ნორდინი | შვედეთი | 1978 | 1990 |
| მორტენ ოლსენი | დანია | 1986 | 2002 |
| უილიამ ესპლინ ორმონდი | შოტლანდია | 1954 | 1974 |
| დანიელ პასარელა | არგენტინა | 1978, 82, 86 | 1998 |
| დიმიტარ პენევი | ბულგარეთი | 1966, 70, 74 | 1994 |
| ჰერბერტ პროხაზკა | ავსტრია | 1978, 82 | 1998 |
| ალფ რამსეი | ინგლისი | 1950 | 1966, 70 |
| კაეტანო რე | პარაგვაი | 1958 | 1986 |
| ფერნანდო რიერა | ჩილე | 1950 | 1962 |
| ხოსე ანტონიო როხა | მექსიკა | 1950 | 1978 |
| მაურისიო როდრიგესი | სალვადორი | 1970 | 1982 |
| ხოსე ემილიო სანტამარია | ურუგვაი | 1954, 62 (ესპანეთი) | 1982 (ესპანეთი) |
| ჰელმუტ სენეკოვიჩი | ავსტრია | 1958 | 1978 |
| ხორხე სოლარი | არგენტინა | 1966 | 1994 (საუდეთი) |
| გილერმო სტაბილე | არგენტინა | 1930 | 1958 |
| ლუის სუარესი | ესპანეთი | 1962, 66 | 1990 |
| ტომი სვენსონი | შვედეთი | 1970 | 1994 |
| ელბა პადუა ლიმა ტიმი | ბრაზილია | 1938 | 1982 (პერუ) |
| ალექსანდრ ტირნანიჩი | იუგოსლავია | 1930 | 1954, 58 |
| ჟოზე ტორეში | პორტუგალია | 1966 | 1986 |
| ჯოვანი ტრაპატონი | იტალია | 1962 | 2002 |
| პოლ ვან ჰიმსტი | ბელგია | 1970 | 1994 |
| ჟან ვენსანი | საფრანგეთი | 1954, 58 | 1982 (კამერუნი) |
| რუდი ფიოლერი | გერმანია | 1986, 90, 94 | 2002 |
| ბერტი ფოგტსი | გფრ | 1970, 74, 78 | 1994, 98 |
| ივან ვუცოვი | ბულგარეთი | 1966 | 1986 |
| მარიო ზაგალო | ბრაზილია | 1958, 62 | 1970, 74, 98 |


მილორად არსენიევიჩი


ხოსე ემილიო სანტამარიამ ორი ქვეყნის ნაკრებებში ითამაშა


სერ ალფ რამსეი ინგლისელთა ერთადერთი ჩემპიონობის შემოქმედი იყო



ანრი მიშელი მუნდიალებზე სამი ქვეყნის ნაკრებს ახლდა


ფრანც ბეკენბაუერი დიდი ფეხბურთელი იყო და დიდი მწვრთნელიც გახდა


მარიო ზაგალო სამგზის მსოფლიოს ჩემპიონია


ბერტი ფოგტსმა ხუთი მუნდიალი მოიარა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **A ჯგუფი** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 002 | აარაუ-ბაზელი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 20.30 | 003 | გრასჰოპერი-ვილი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 004 | გრასჰოპერი-ვილი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.30 | 005 | ქსამაქსი-თუნი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 22.30 | 006 | იანგ ბოიზი-ლუცერნი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 19.15 | 007 | დელემონი-სერვეტი | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **B ჯგუფი** | | | | | | |
| | | **5 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 008 | ბადენი-ლუგანო | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | კონკორდია-ვადუცი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 20.30 | 010 | ივერდონი-შაფჰაუზენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 011 | ივერდონი-შაფჰაუზენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 22.30 | 012 | ბელინცონა-ვოლენი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 22.30 | 013 | კრინსი-ლოზანა | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 22.30 | 014 | სიონი-ვინტერთური | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **5 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 022 | ლოკომოტივი-ურალანი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. მე-8 ტური** | | | | | | |
| | | **5 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 029 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **ავსტრია. სუპერთასი.** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 20.15 | 046 | შტურმი-გრაცერი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | **ინტერტოტო. მე-2 ეტაპი. 1-ლი მატჩები.** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 047 | კრილია-დინაბურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 19.00 | 048 | კოლრეინი-ტრუა | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,1 | 1,05 |
| 19.00 | 049 | ფულემი-ჰაკა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 20.00 | 050 | სლავენი-ბელენენსეში | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 20.00 | 051 | გლორია-ტეუტა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 20.00 | 052 | აშდოდი-მარეკი (ნეიტრ.) | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,25 | 1,2 | 1,55 |
| 22.30 | 056 | ციურიხი-ლევადია | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 22.30 | 057 | სოშო-ჟალგირისი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,05 | 3,55 |
| 22.30 | 058 | ტილბურგი-სენტ გალენი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 23.00 | 059 | გენტი-სენტ პატრიკსი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 00.30 | 053 | ვილიარეალი-ჰაფნარფიორდური | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 054 | ტორინო-ბრეგენცი | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,1 | 2,45 |
| 20.00 | 055 | ტეპლიცე-სანტა კლარა | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 20.00 | 060 | სინოტი-ჰელსინგბორგი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 20.30 | 061 | მიუნხენი-ბატე | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 21.00 | 062 | შტუტგარტი-ლოკერენი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |

## ფორმულა 1. ბრიტანეთი. 7 ივლისი (14.00)

| | 5001 გამარჯვებული | 5101 სამეული | 5201 ექვსეული | 5002 უსწრაფესი წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,7 | 1,15 | 1,08 | 2,0 |
| ბარიკელო | 4,0 | 1,5 | 1,25 | 3,0 |
| მონტოია | 7,0 | 1,85 | 1,3 | 4,0 |
| რ.შუმახერი | 8,0 | 2,2 | 1,3 | 6,0 |
| კულტჰარდი | 9,0 | 2,5 | 1,3 | 12,0 |
| რაიკონენი | 15,0 | 4,0 | 1,45 | 20,0 |
| ბატონი | 40,0 | 10,0 | 2,4 | 50,0 |
| ტრული | 40,0 | 10,0 | 2,5 | 50,0 |
| ჰაიდფელდი | 75,0 | 15,0 | 2,8 | 100,0 |
| მასა | 75,0 | 20,0 | 4,0 | 100,0 |
| ფიზიკელა | 100,0 | 25,0 | 4,4 | 100,0 |
| ფრენცენი | 100,0 | 25,0 | 5,0 | 100,0 |

| 5003 რამდენი პილოტი დაამთავრებს რბოლას | |
|---|---|
| 11 ან ნაკლები | 4,0 |
| 12 ან 13 | 3,5 |
| 14 ან 15 | 3,5 |
| 16 ან მეტი | 2,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული ლატარეა

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Iბ კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

ბათუმის „ბასკომ" წლევანდელი სეზონი, წინა ორის მსგავსად, რიხით ჩაამთავრა და სამწლიანი არსებობის მანძილზე ზედიზედ მესამედ იჩემპიონა. ამ ხანში ზღვისპირულმა გუნდმა ბევრი კალათბურთელი გამოიცვალა, მაგრამ ამით არც არაფერი დაჰკლებია, თუ არ მომატებია.

მოთამაშეთა მიდი-მოდის არც მწვრთნელები ჩამორჩნენ და სამ სეზონში „ბასკომ" სამი მწვრთნელი გამოიცვალა. ჯერ იყო ვალერი ალთაბაევი, რომელმაც დაახლოებით ნახევარი წელი უთავკაცა აჭარულ კლუბს. მერე ზურაბ ტომარაძის ჯერი დადგა. შარშან ტომარაძისგან გუნდის სადავეები მიიღო კონსულტანტმა, რუსმა პაველ გოოგემ გადაიბარა და „წესისამებრ" ახლა სხვისი დრო დადგა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ბასკოს" მომავალი მთავარი მწვრთნელი გოოგეს თანაშემწე ნუგზარ კანდელაკი იქნება. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა და, ალბათ, არაფერი შეიცვლება.

# ბასკო: ფერისცვალება, მწვრთნელისცვალება

## წავიდა რუსი, წავიდნენ ზანგები...



გოოგე წავიდა, კანდელაკი მოდის

**რამდენიმე** დღეში „ბასკო" შეიკრიბება და მომავალი სეზონისთვის დაიწყებს მზადებას. ბათუმურ კლუბში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, რაზეც თავად ნუგზარ კანდელაკი გვესაუბრება, რომელთანაც საუბარი „ბასკოს" წარმატების მიზეზებით დავიწყეთ.

— მთავარი, რამაც წლეულს ჩვენი ჩემპიონობა გადაწყვიტა, მომზადების დონე იყო, რაც პირდაპირაა დაკავშირებული გუნდის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან. ბასკოსნაირი პირობები ქართულ კლუბებში არავის ჰქონდა და ჯერჯერობითაც არა აქვთ. სეზონის დაწყებამდე და მერეც ისე ვემზადებოდით, არ შეიძლებოდა, შედეგი არ მიგვეღო.

**— მომზადებას თავისი ადგილი აქვს, მაგრამ თუ ძლიერი მოთამაშეები არა გყავს, ძნელია წარმატებაზე ფიქრი. ამ მხრივ „ბასკოს" პრობლემა არ ჰქონია, ამერიკელი ლეგიონერები ერთ გუნდს უდრიდნენ...**

— მართალია, მაგრამ შესაფერისი პირობები რომ არ ყოფილიყო, ამერიკელები ბათუმში არ ჩამოვიდოდნენ. მარტო ფული არ არის საქმე, ანაზღაურებასთან ერთად უცხოელ კალათბურთელს კარგი სავარჯიშო და საცხოვრებელი პირობები თუ არ შეუქმენი, სხვაგან წავა. ჩვენი ერთ-ერთი ლიდერი ნიკ დილონი „ბასკოში" თამაშს არ დათანხმდებოდა, რომ არა ჯეფ როჯერსი. როჯერსი შარშანაც ჩვენთან თამაშობდა და დილონი დაიყოლია, არაფერია საპრობლემოო.

**— ეს ორი კვლავაც „ბასკოში" ითამაშებს?**

— ჯერ არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი, მაგრამ, ალბათ, უფრო აღარ ჩამოვლენ.

**— „ბასკოს" რუსი მწვრთნელი პაველ გოოგე ახლა რუსეთშია, მისი საქმე როგორ იქნება?**

— გოოგეს დიდი წვლილი მიუძღვის „ბასკოს" ჩემპიონობაში, ნამდვილად კარგი მწვრთნელია. ყველას აქვს ღირსებაც და ნაკლიც, ასევეა ისიც, მაგრამ მისი ყველაზე დიდი პლუსია პროფესიონალიზმი. გოოგემ აქაურ მწვრთნელთა შორის ყველაზე კარგად იცოდა, კონკრეტულ სიტუაციაში რა გაეკეთებინა, ვინ გაეყვანა მოედნიდან და ვინ შეეყვანა. გადამწყვეტი მატჩისთვის გუნდის მომზადებაშიც საუკეთესო იყო. სამწუხაროა, რომ იგი „ბასოკს" აღარ გაწვრთნის, რუსეთში უკეთესი ვარიანტები გამოუჩნდა.

**— მაშ, გუნდს ვინ უთავკაცებს?**

— ამჟამად მე ვითვლები მთავარ მწვრთნელად. როგორც ვიცი, სხვა კანდიდატურა ჯერჯერობით არაა. ალბათ, დავრჩები ამ პოსტზე, თუმც საბოლოო სიტყვა კლუბის ხელმძღვანელობაზეა.

**— მომავალი სეზონისთვის მზადებას როდის იწყებთ და თუ არის სხვა ცვლილებებიც?**

— ორიოდ დღეში ბათუმში შევიკრიბებით და მოსამზადებელ პერიოდს იქ გავივლით. რაც შეეხება გუნდის დაკომპლექტებას, ეს საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული დაფინანსებასთან. სახსრები სადამდეც გაგვწვდება, ისეთი შემადგენლობაც გვეყოლება. არაა გამორიცხული, „ბასკო" სულ სხვა ხალხით დაკომპლექტდეს.

**— შეკრებაზე ახალი კალათბურთელების გასინჯვას თუ აპირებთ და ვინ იქნებიან ისინი?**

— საქართველოში ჯერ არაა საკონტრაქტო სისტემა სათანადოდ მოგვარებული, ამიტომ სეზონთშორის პერიოდში თითქმის ყველა მოთამაშის აყვანის შანსი არსებობს. „ბასკო" არაერთი კალათბურთელითაა დაინტერესებული, მაგრამ საბოლოოდ რა გამოვა, რამდენიმე დღეში გაირკვევა, როცა შევიკრიბებით. ახლები საკმაოდ იქნებიან, მაგრამ საბოლოოდ ვის დავიტოვებთ, ჯერ არაა ცნობილი, ამიტომაც გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

**— მანუჩარ მარკოიშვილი ახლახან დაბრუნდა იტალიიდან, სადაც „ბენეტონმა" შეამოწმა. წავა თუ არა იგი გუნდიდან?**

— იტალიელებს ჯერ არ უთქვამთ საბოლოო პასუხი, მაგრამ რომ მოინდომონ, მანუჩარს წინ არ დავუდგებით. მარკოიშვილის წასვლაზე ადრეც იყო ლაპარაკი, მაგრამ მაშინ ჯერ ადრე იყო. ასევეა კიდევ რამდენიმე ჩვენი კალათბურთელი, რომლებსაც საზღვარგარეთ თამაშის პერსპექტივა აქვთ. ისე არ უნდა გავაკეთოთ, რომ ახალგაზრდების გაშვება ნაადრევად მოგვივიდეს, ანაც დავაგვიანოთ.

**— ევროტურნირზე არ აპირებთ თამაშს?**

— ჯერ არ ვიცი. ისევე, როგორც სხვა საქმეები, ეგეც ფინანსებზეა დამოკიდებული და მალე ეს საკითხიც გაირკვევა.

**ირაკლი ბერტაია**



ჯეფრი როჯერსი
საქართველოდან ჩემპიონი წავიდა

# ამერიკა: მუშა ვარიანტი

**ამერიკის** კალათბურთის ხელმძღვანელებმა დაასახელეს ის ორი კალათბურთელი, რომლებიც ქვეყნის 12-კაციან ნაკრებს შეავსებენ და აგვისტო-სექტემბერში ამერიკულსავე ქალაქ ინდიანაპოლისში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე წინათ არჩეულ 10 კალათბურთელთან ერთად სამშობლოს ღირსებას დაიცავენ.

ორი ახალრჩეულია „ლოს ანჯელეს კლიპერსის" თავდამსხმელი და ლიდერი ელტონ ბრენდი და „დეტროიტ პისტონზის" თავდამსხმელ-ცენტრი ბენ ვოლესი.

ამერიკული კალათბურთის მამებმა არ გადათქვეს სიტყვა და ქვეყნის საღიდებლად გაზულუქებული და შრომის მოუკადრისე ვარსვლავების ნაცვლად მუშა და გამრჯე ბიჭებს უხმეს. ბრენდიცა და ვოლესიც ღირსეული და თავმდაბალი პიროვნებები არიან და სამსოფლიო ლაშქრობაშიც ამიტომ მოხვდნენ, თორემ ამერიკელთა შემადგენლობა ვარსკვლავური რომ ყოფილიყო, ისინი ქვეყნის პირველ კი არა, მეორე რჩეულ 12-კაცა შემადგენლობასაც ვერ გაეკარებოდნენ.

მოკლედ ამერიკელები ინდიანაპოლისში ამ 12 კაცით შეებმებიან მსოფლიოს:

**უკანახაზელები**

**ჯეისონ კიდი** (ნიუ ჯერსი)
**რეი ალენი** (მილუოკი)
**პოლ პირსი** (ბოსტონი)
**რეჯი მილერი** (ინდიანა)
**ანდრე მილერი** (კლივლენდი)
**მაიკლ ფინლი** (დალასი)

**მეფარეები**

**შონ მარიონი** (ფინიქსი)
**ჯერმენ ონილი** (ინდიანა)
**ანტონიო დევისი** (ტორონტო)
**ბენ ვოლესი** (დეტროიტი)
**ელტონ ბრენდი** (კლიპერსი)
**რიფ ლაფრენცი** (დალასი)
მწვრთნელი **ჯორჯ კარლი** (მილუოკი)



ჯეისონ კიდი



ბენ ვოლესი

# დაო, რა გტკივაო...

## ოსტერტაგს დედმამიშვილების სადღეგრძელო არასოდეს დაულევია, დისთვის თირკმელი ისე გაიღო

*თირკმელი მტკივნეული ორგანოა ნბა-ს კალათბურთელებისთვის, ხოლო ეს თემა კარგად დამუშავებული ამერიკელი ჟურნალისტებისთვის. ბოლო წლებია, ამ ორგანომ გზა გაუმრუდა ვარსკვლავებს – შონ ელიოტსა და ალონზო მურნინგს და ახლა კიდევ ერთი კალათბურთელის, „იუტა ჯაზის" ცენტრ გრეგ ოსტერტაგის პროფესიულ მომავალს ემუქრება.*

**„ნუ** ეხუმრებით თირკმელს — ყველაზე საფრთხილო და სიკვდილის რისკიან ორგანოებში იგი მეოთხე ადგილზეა" — აფრთხილებენ ხალხს ამერიკელი ექიმები. თირკმელმა დაუნგრია კარიერა ყოჩაღ მობურთალ შონ ელიოტს. ამ ორგანოს გლომერულოსკლეროზად წოდებულმა დაავადებამ მას ორივე თირკმელი წაართვა. ელიოტს ძმამ დაუთმო საკუთარი თირკმელი, ოპერაციამაც წარმატებით ჩაიარა და იგი ნახევარი წლის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს, თუმც ძველის ჩრდილად ქცეული და მალევე წავიდა პენსიაზე. „მაიამის" ცენტრმა ალონზო მურნინგმა დროულად უწამლა საკუთარ გაურჩებულ თირკმლებს და მოედანზეც დაბრუნდა, მაგრამ ისიც შორსაა ძველი ფორმიდან. ახლა კი თირკმელი ემუქრება ოსტერტაგის კარიერას.

არადა, 218-სანტიმეტრიან გოლიათ ოსტერტაგს თავად არაფერი სჭირს, დაავადებულია მისი უმცროსი და ემი პოლი და გრეგმაც საკუთარი სიცოცხლისა და ხორცისთვის საკუთარი კარიერა და ორგანო გაიღო. და-ძმას ამ რამდენიმე დღის წინ ჩაუტარდათ ოპერაცია და, როგორც ექიმები ამბობენ, გადანერგვამ ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიარა. „ყველაზე დიდი პრობლემა ოპერაცია კი არა, გრეგისთვის შესაფერისი საოპერაციო მაგიდის მოძებნა აღმოჩნდა — ხუმრობს ქირურგი ბუჩ დერიკი. დასტაქარი ოპტიმისტურადაა განწყობილი — ყველაფერმა ბრწყინვალედ ჩაიარა.


გრეგ ოსტერტაგს ზორბა სხეულში კეთილი გული უცემს

გრეგი ჯანმრთელი კაცია და შეუძლია, გააგრძელოს სპორტული კარიერა. ვფიქრობ, მას ამ მხრივ არაფერი ემუქრება, ისევე, როგორც ემის. ემის ძმის თირკმელთან ერთად დაბერებას ვუსურვებ. ორივე მალე გაეწერება და რამდენიმე დღეში ემის კინოში წასვლა შეეძლება".

შესაძლოა, ემის მართლაც არაფერი ემუქრებოდეს. გოლიათი ძმის ვეება მარცხენა თირკმელმა იქნებ დიდხანსაც აცოცხლოს, საკითხავი ისაა, ცალი თირკმელის ამარა დარჩენილი ოსტერტაგი როგორ გაუმკლავდება ჯანიან მეტოქეებს. იგი არც მანამდე ბრწყინავდა. ხანდახან თუ ხვდებოდა „იუტას" სასტარტო ხუთეულში და საერთოდ, დიდი გაქანების მობურთალი ვერაა, ახლა ხომ მით უმეტეს.

კეთილი გული აღმოაჩნდა დევკაც ოსტერტაგს. აქამდე მას შავი სამუშაოს შემსრულებელ უხეშ კალათბურთელად იცნობდნენ, ჰოკეის ტერმინი რომ მოვიშველიოთ, ოსტერტაგი „იუტას" „პოლიციელია", მაგრამ დისთვის გაწეული ფასდაუდებელი სამსახურისთვის მას სხვა თვალით შეხედავენ, მეტად დააფასებენ. შესაძლოა, ოსტერტაგმა თავისი შავი სამუშაო დაკარგოს, მაგრამ, სამაგიეროდ, ხალხის პატივისცემა მოიპოვა. რაც შეეხება არსობის პურს, ოსტერტაგს კალათბურთელობაში ნაშოვნი აქვს ორიოდ ათეული მილიონი მწვანე და, ალბათ, იოლად გადაიტანს არცთუ ბრწყინვალე კარიერის დანგრევას.

**თამილა ჭუმბურიძე**

# მთის მწმენდავები



ზურაბ ასტახიშვილი

*წლევანდელი წელი გაეროს მიერ მთის წლადაა გამოცხადებული, ასე რომ, იგი მნიშვნელოვანია მთამსვლელებისთვის, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნის მთიელთათვის და საერთოდ მსოფლიოსთვის, რაკილა ამა თუ იმ მთებისთვის თავსდამტყდარი ეკოლოგიური კატასტროფის ექო მეტნაკლებად სხვა კონტინენტებსაც სწვდება, რაც ათასგვარ ბუნებრივ კატაკლიზმებს განაპირობებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, იაპონელი მთამსვლელის კენ ნოგუჩის წლევანდელი ეკოლოგიური ექსპედიცია დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ერთი-ორად მნიშვნელოვნად გვესახება. მასში თბილისელ მთამსვლელ გია თორთლაძესთან ერთად მისი თანაქალაქელი ექიმი ზურაბ ასტახიშვილიც მონაწილეობდა, რომელსაც ინტერვიუ ვთხოვეთ.*

**— თქვენ და გია თორთლაძე კენ ნოგუჩის ამგვარ ექსპედიციაში აქამდეც მონაწილეობდით. რით განსხვავდებოდა ეს ექსპედიცია წინამორბედებისგან?**

— მართლაც, მე და გია ამგვარ ექსპედიციაში მესამედ ვმონაწილეობდით. შარშან და შარშანწინ ევერესტის სამხრეთ ფერდობებზე ვიყავით, წლეულს კი ამ მწვერვალს სამხრეთიდან პირველად მივადექით. ექსპედიციაში 3 კორეელი, 2-2 იაპონელი და ქართველი ვიყავით. რა თქმა უნდა, იყვნენ შერპებიც, რომლებმაც 20-მდე მოიყარეს თავი. მათ ევერესტის სამხრეთ უნაგირიდან, რომელიც ამ მწვერვალს მის მეზობელ რვაათასიან ლჰოცზესთან აკავშირებს, ორ ტონამდე ნაგავი ჩამოზიდეს. ძირითადად გამოცარიელებული ჟანგბადის ბალონები იყო. ექსპედიციის წევრები რამდენიმე მთამსვლელის გვამსაც გადაეყარნენ და ისინი მიწას მიაბარეს. უფრო სწორად, დალუპულები „ტრასიდან" გადაასვენეს და ქვა-ღორღისგან მოწყობილ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შედარებით ადამიანურ „აკლდამებში" დაკრძალეს. ექსპედიციის დასრულების მერე გია თორთლაძე ლჰოცზეზე ავიდა და კიდევ ერთი რვაათასიანი მიითვალა.

**— ჩვენ თავის დროზე ვიუწყებოდით, გია თორთლაძე ლჰოცზეზე რუსებთან ერთად ავიდაო. კენ ნოგუჩის ექსპედიციაში მყოფი რუსებთან როგორლა მოხვდა ამ მწვერვალზე? რამე ხომ არ შეგვეშალა?**

— არა, გია მართლაც რუსებთან ერთად ავიდა მწვერვალზე. საქმე ის იყო, რომ გიასთან ერთად ლჰოცზეზე ჩვენი ექსპედიციის სამივე კორეელიც აპირებდა ასვლას. მერე გიამ იფიქრა, რუსები უფრო მობილიზებულნი, სტაბილურები და ძლიერები არიან, მათ ასვლის მეტი შანსი აქვთო და შეუამხანაგდა კიდეც. მათ ერთად დაამუშავეს მარშრუტი და ძალზე ცუდ ამინდში მიზანსაც მიაღწიეს. საერთოდ, იქ წლეულს ძალზე ცუდი ამინდები იყო.

**— ის კორეელები უმწვერვალოდ დარჩნენ?**

— მერე ისინიც ავიდნენ, მათი ასვლისას გამოიდარა. თანაც, მათ მარშრუტზე რუსებისა და გია თორთლაძის მიერ დაკიდებული თოკებიც დახვდათ, რამაც კორეელებს სავალი შეუმსუბუქა. იმ თოკებით მერე სხვა ქვეყნების მთამსვლელებმაც ისარგებლეს. საერთოდ, ამ რაიონში ჩვენი საერთაშორისოსა და რუსების გარდა იყო ამერიკელების და ირანელების ექსპედიციებიც, აგრეთვე პატარ-პატარა, ორსამკაციანი ექსპედიციები, რომლებიც საერთო ჯამში თხუთმეტამდე მოგროვდა.

**— როგორც ექიმს, დიდი ჯაფა დაგადგათ? გვახსოვს, 1999 წელს ევერესტზე ჩრდილოეთიდან ლაშქრობისას გია თორთლაძე გვიამბობდა, ასტახიშვილს იმდენი საქმე გამოუჩნდა, მოსვენება აღარ ჰქონდაო.**

— მაშინ იქ მრავალი ქვეყნის ექსპედიცია იყო. თითქმის ყველას მეტნაკლებად ხიფათი დაატყდა თავს. რამდენიმე დაიღუპა კიდეც. მე კი იქ ერთადერთი ექიმი აღმოვჩნდი. ახლა იქ ჩემს გარდა ორი-სამი ექიმი იყო და საქმეც გადაგვინაწილდა. თუ არ ჩავთვლით პატაა-პატარა დახმარებებს, დაშავებულთათვის ორჯერ სისხლის გადასხმაც დამჭირდა. ერთ შერპ მთამსვლელს ფილტვები შეუშუპდა, ჩეხ სამთო ტურისტს კი ტვინი. ჩემი ჩარევის მერე ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

**— თქვენ ადრინდელ ექსპედიციებში უფრო მთამსვლელი იყავით და მწვერვალებზეც ადიოდით. ახლა ჰიმალაის მთებში როგორლა უძლებთ ცდუნებას?**

— ევერესტზე ჩრდილოეთიდან ყოფნისას ფეხი წამცდა და 6700 მეტრამდე ავედი. ახლა კხუმბუს ყინვარზე 6000 მეტრამდე ავისეირნე, მანამდე კი სხვებთან, მათ შორის თორთლაძესთან ერთად სავარჯიშოდ ერთი პატარა მწვერვალი კალაპატარაც დავლაშქრე. იქიდან ზღაპრული სანახაობა გადაგვეშალა.

**— ექსპედიციებში თქვენს მონაწილეობას ვინ აფინანსებს?**

— გარდა იმისა, რომ ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვმუშაობ, ვთანამშრომლობ „მედიკლაბ ჯორჯიაში", რომელსაც ეუთოს წარმომადგენლებთან კონტრაქტები აქვს. მე მათ საქართველოს ჩრდილოეთ სასაზღვრისპირა რაიონებში, მათ შორის გირებში, ომალოში, შატილში და სნოში დავყვები, როგორც სამთო გამოცდილების ექიმი. ახლა ჩემს ჰიმალაურ ექსპედიციაში მონაწილეობა სწორედ „მედიკლაბ ჯორჯიამ" და „საქართველოს ბანკმა" (ვლადიმერ პატეიშვილი და ელგუჯა სილაგაძე) დააფინანსეს, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

**— ახლა საით გიჭირავთ გეზი?**

— წლევანდელი ექსპედიციის დასასრულს თორთლაძე ესპანელებმა თავიანთ მომავალ ექსპედიციაში ჩარიცხეს, რომელიც ყარაყორუმის მთებში დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალ K-2-ს, იგივე ჩოგორის (8611მ) დალაშქვრას კლასიკური მარშრუტით აპირებს. თბილისში დაბრუნების მერე გიამ სული მოითქვა და რამდენიმე დღის წინ ამ ექსპედიციას შეუერთდა. სამწუხაროდ, მე ეს ვერ მოვახერხე, სამაგიეროდ კი ორივენი კვლავ კენ ნოგუჩის საერთაშორისო ეკოლოგიურ ექსპედიციაში ვართ მიწვეულნი. ეს ექსპედიცია, თორთლაძის რჩევით, რვაათასიან მაკალუზე (8128მ) მოეწყობა, რომლის ფერდობები ჯერ არავის გაუწმენდია.

**ავთანდილ ჭყუიშვილი**



ლჰოცზე, მთებიც კი, მთებიც კი დანაგვიანდა!



# კოჭმების გამოფენა

## რას შეატყობენ ბიძები ბიჭებს...



კარი ლეჰტონენი, რიკ ნეში და ჯეი ბოუმისტერი

*აგერ, მეოთხე წელი ილევა, სპეციალისტები ჯეი ბოუმისტერზე ლაპარაკობენ. იგი ჯერ კიდევ 15 წლის იყო, როცა სერიოზულ ტურნირებში მონაწილეობდა და იქიდან მოყოლებული უწინასწარმეტყველებდნენ, რომ 2002 წლის დრაფტის №1 იქნებოდა. მაგრამ, როგორც ამბობენ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო...*

**წლევანდელ** დრაფტზე პირველი არჩევის უფლება ფლორიდას ერგო, რამაც ძალიან განერვიულა კოლუმბუსის ბოსები. საგანგებო სადრაფტო ლატარიამ მათ მესამე არჩევანი შეახვედრა წილად, რითაც „ცისფერხიფთანიანთა" გეგმებს საფრთხე დაემუქრა. კოლუმბუსს ფორვარდ რიკ ნეშის აყვანა სურდა, რომლის არჩევასაც ზოგადად უფრო მეორე ნომრად ელოდნენ. ამიტომ გუნდის მესვეურები ფლორიდის ბოსებს გაურიგდნენ, დრაფტის ნომრები გაცვალეს და საწადელსაც მიაღწიეს.

„რიკიზე მთელ სეზონს ვიცნებობდით და მისი ხელიდან გაშვება არ გაგვიხარდებოდა" — გაბრწყინებული სახით ამბობდა კოლუმბუსის გენერალური მენეჯერი დუგ მაკლინი.

2002 წლის დრაფტის პირველი ნომერი, 18 წლის რიკ ნეში წლეულს ონტარიოს პროვინციული ლიგის კლუბ „ლონდონში" გამოდიოდა და 54 მატჩში 72(32+40) ქულა დააგროვა. თუმცა მთავარი მაინც მისი სათამაშო თვისებებია. ტანმაღალი (191 სმ), მაგრამ ნაკლებად ათლეტური (83 კგ) ნეში ისეთი თავგამოდებით იბრძვის, რომ ძალისმიერ ბრძოლაში და ბორტებთან ჭიდილში თავისზე გაცილებით მძიმე და ძლიერ თანატოლებს სჯობნის. სპეციალისტები მას ბრენდან შენაჰანს ადარებენ. „ვიჯექი დარბაზში და თვალებს არ ვუჯერებდი, დრაფტის პირველი ნომერი რომ გავხდი. ნამდვილი საოცრებაა" — თქვა არჩევის შემდეგ დრაფტის გმირმა.

მეორედ ამრჩევმა, ატლანტამ, ფინელი მეკარე კარი ლეჰტონენი შეიმატა, რის გამოც იგი დრაფტების ისტორიაში ყველაზე მაღალ ნომრად არჩეული ევროპელი გოლკიპერი შეიქნა. ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატზე ლეჰტონენმა ყველა გააოცა, საუკეთესო მეკარის ტიტულიც დაიმსახურა და პლეი ოფის უძვირფასესი მოთამაშის წოდებაც მოიპოვა ფინეთის ჩემპიონატში. ატლანტას სწორედ რომ სამეკარეო პოზიცია აქვს გახამაგრებელი, თუმცა შესაძლებელია, ლეჰტონენმა დამდეგი სეზონი ფარმკლუბში დაიწყოს. „ნებისმიერ ევროპელ მეკარეს, რანაირი პერსპექტიულიც უნდა იყოს, დრო სჭირდება, რათა ჩრდილოამერიკულ ჰოკეის შეეჩვიოს" — თქვა გუნდის გენერალურმა მენეჯერმა დონ უოდელმა.

მხოლოდ მესამე ნომრად აირჩია ფლორიდამ ჯეი ბოუმისტერი. როგორც ვთქვით, სწორედ ამ ყმაწვილს უწინასწარმეტყველებდნენ ყველაზე მაღალ ნომერს, მაგრამ ფლორიდა და კოლუმბუსი რომ გარიგდნენ, მისი აყვანის მსურველ „პანტერებს" მესამე ნომერი ერგოთ. ამბობენ, ბოუმისტერი სრიალში ლეგენდარულ ბობი ორს და პოლ კოფის ჩამოჰგავსო. თან 18 წლის ჰოკეისტს საკმაო სიმაღლე და წონაც აქვს და, ცნობილ სპეციალისტ, ფლორიდის მწვრთნელ მაიკ კინენის არ იყოს, ზედგამოჭრილი კრის პრონგერია. იმედია, ჯეი გაიმეორებს თავისი ამპლუის აწ უკვე სახელოვანი ჰოკეისტის შედეგებს და ლიგის ელიტარულ მცველად იქცევა.

შემდეგი არჩევანი ფილადელფიისა გახლდათ. მან ეს უფლება ტამპასგან შეისყიდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევ ერთი ფინელი, მცველი იონი პიტკანენი აიყვანა. „ცოტა გაკვირვებული ვარ, ფილადელფიაში რომ აღმოვჩნდი, მაგრამ ბედნიერიც" — თქვა პიტკანენმა, რომელსაც შეტევებში ხშირი ჩართვების გამო სახელოვან რეინჯერ ბრაიან ლიჩს ადარებენ.

აი, ასეთი, კანადურ-ფინური გამოდგა დრაფტის დასაწყისი. უმრავლესობის აზრით, თანატოლთაგან სწორედ ეს ოთხი ყმაწვილი გამოირჩეოდა წლევანდელ დრაფტში. მთავარი ყურადღებაც მათკენ იყო მიპყრობილი. ოთხივეს შეუძლია, წლეულსვე ითამაშოს ლიგაში და თავიანთი გუნდების წამყვან ძალად იქცეს. თუმცა ყველაფერს დრო გვიჩვენებს. არ არის გამორიცხული, უფრო დაბალი ნომრებით არჩეულმა სხვა ახალგაზრდებმაც გაიბრწყინონ მომავალში.

**სამველ ღარიბიანი**

### მუხის ფოთოლი შემოდგომაზე აშრიალდება

ვაკის პარკში მდებარე საჩოგბურთო კლუბ „მუხის ფოთოლის" ღია პირველობა, რომელიც 8-დან 16 წლამდე სპორტსმენთათვის უნდა გამართულიყო, მიზეზთა გამო გადაიდო. საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წლევანდელ სპორტულ ღონისძიებათა კალენდრით გათვალისწინებული ეს შეჯიბრება, როგორც კლუბ „მუხის ფოთოლის" პრეზიდენტმა გოგი გახოკიძემ გვაცნობა შემოდგომის დამდეგს გაიმართება. ასე რომ, „მუხის ფოთოლი" შემოდგომაზე აშრიალდება.

*საქართველოს ნაკრების კაპიტანი ლევან ცაბაძე, სხვა ბორჯღალოსნებთან ერთად, ახლა ბათუმშია, შეკრებაზე. ნაკრებმა 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისთვის მზადება დაიწყო და ეს ინტერვიუც ბათუმში გამგზავრების წინ შედგა.*

*ცაბაძე და „ადოლფი" რედაქციაში გვეწვიენენ. „ადოლფი" ბოქსიორის ჯიშის ძაღლია.*



ლევან ცაბაძე და „ადოლფი"

# ლევან ცაბაძემ ფრანგულად ითევზავა

## საქართველოში საუკეთესომ და მსოფლიოში საუკეთესომ ერთმანეთი ჯერ ქექეს, მერე სურათი გადაიღეს

**— ლევან, გიყვარს ცხოველები?**

— კი, განსაკუთრებით ძაღლები. „ადოლფის" გარდა კავკასიური ნაგაზიც მყავს, ოღონდ ჯერ ლეკვია. მაგარი მოჩხუბარი უნდა გავზარდო. „კასტრში" აფრიკელ ლასისის ჰყავდა ბოქსიორი და „ადოლფს" იმასთან ვაჩხუბებდი. ეს ერეოდა.

**— სახელს თუ ამართლებს? შავკანიანებს ერჩის?**

— კი, სწორედ ლასისი ჰყავს დაკბენილი, რასაც ვეღარ მოახერხებს, „კასტრიდან" ხომ წავედი.

**— შენს ახალ კლუბზე, „მონფერანზე" მოგვიყევი...**

— „მონფერანი" ყველაზე მდიდარი კლუბია საფრანგეთში, გუნდის სპონსორია საბურავების მწარმოებელი უცნობილესი ფირმა „მიშელინი". ბოლო ექვსი წელია, ან ფინალში თამაშობს, ანაც ნახევარფინალში, მაგრამ ჩემპიონი ვერ გახდა. ახლა კლუბის უფროსობა შემადგენლობას აძლიერებს. ჩემთან ერთად კონტრაქტი გაუფორმეს საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავ ოლივიე ბრუზეს. ძალიან სერიოზულად უდგებიან საქმეს. „მონფერანში" ისეთი ფრანგი ვარსკვლავები თამაშობენ, როგორებიც ტონი მარში და ჟერალ მერსერონი არიან.

**— მათი გაცნობა მოასწარი?**

— ვერა. ძირითადად კლუბის ხელმძღვანელობას ვხვდებოდი. სამაგიეროდ, ბრუზეს დავუახლოვდი, კარგი ბიჭი ჩანს.

**— გუნდის უფროსობამ რა გითხრა?**

— მითხრეს, რომ ჩემი საქმე ჩემი პოზიციაა. შერკინების მარჯვენა ბურჯობა დამაკისრეს და მთელი სეზონი სტაბილურად უნდა ვითამაშო. დანარჩენი შენ არ გეხებაო.

**— „მონფერანში" გადასვლაში ვინ დაგეხმარა?**

— ჩემი აგენტი პასკალ ფურნი. ფურნი ერთ-ერთი ცნობილი აგენტია საფრანგეთში. ძალიან მარიფათიანი ვინმეა. საქმეს თუ ხელი მოჰკიდა, აუცილებლად გააკეთებს. საერთოდ, ფრანგული კლუბები ცდილობენ, კომერციულად მომგებიანი მორაგბეები შეარჩიონ. ვგულისხმობ იმას, რომ მათ სჭირდებათ საერთაშორისო ვარსკვლავები, რათა ისინი კლუბის სპონსორის ნაწარმის სარეკლამო საქმიანობაში გამოიყენონ. მე, ასე ვთქვათ, საკლუბო ვარსკვლავი ვარ, მაგრამ ფურნიმ მაინც მომაწყო ფრანგულ გრანდში.

**— როგორც ვიცი, მალხაზ ურჯუკაშვილს შენ და ფურნი დაეხმარეთ და „მაზამედან" „ტურში" გადაიყვანეთ.**

— ასეა. მახოს ტელეფონით ვესაუბრე და მითხრა, რომ „მაზამე" ვალდებულებებს არ ასრულებდა. მეც შევპირდი დახმარებას. „მონფერანთან" წინასწარი კონტრაქტის გასაფორმებლად რომ ჩავედი, თან ურჯუკაშვილიც ჩავიყვანე. იქ შევახვედრე ფურნის და საქმეც მოგვარდა. ფურნის ოღონდ საქმე მიეცი და... საფრანგეთში სატრანსფერო ამბები თევზაობას ჰგავს. მორაგბე არის ანკესი. ამ ანკესს კლუბებს გადაუგდებენ და ვინც უფრო მეტს დაქაჩავს, იმისი ხარ. მე გამიმართლა, „მონფერანში" რომ მოვხვდი. ასეთ კლუბში გადასვლა ყველას ოცნებაა. თან ასაკიც ისეთი მაქვს, რომ 2-3 წელიწადში კარიერასაც დავასრულებ. ხელფასი საშუალოზე დაბალია, მაგრამ სოლიდური პრემიებია. ამით მეტ სტიმულს გაძლევენ, რომ მოსაგებად ითამაშო.

**— „კასტრამ" უპრობლემოდ გაგიშვა. მგონი, კონფლიქტიც გქონდა კლუბის უფროსობასთან...**

— კონფლიქტი მწვრთნელთან მქონდა. რენე ტრემელე მორაგბეობისას ნაცემი მყავს. მაშინ „კოლომიეში" თამაშობდა. „კასტრის" მწვრთნელად დაინიშნა თუ არა, ძველი წყენა გამიხსენა და აღარ მათამაშებდა. ცეცხლზე ნავთი ჩემმა კონკურენტმა, არგენტინელმა მორისიო რეჯიარდომაც დაასხა. მაგარი ჭორიკანა ტიპია და სულ მაბეზღებდა მწვრთნელთან, თანაც არარსებულ ამბებს უყვებოდა. „კასტრის" პრეზიდენტმა კი ძალიან თბილად გამაცილა. სადილიც მოაწყო და გზა დამილოცა. სიტუაციაც ამიხსნა — ხომ იცი, კლუბის ბიუჯეტი შემცირდა და მაღალანაზღაურებად მორაგბეებს ვერ დავიტოვებთო. ამ მიზეზით შოტლანდიელი ვარსკვლავი გრეგორ თაუნსენდი გაუშვეს, ახალზელანდიელი ლეგიონერებიც წავიდნენ, მგონი, საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი რაფაელ იბნესიც მიდის. პრეზიდენტმა ისიც მითხრა, თუ „მონფერანში" საქმეები ვერ აგეწყო, იცოდე, უკან დაბრუნება ნებისმიერ დროს შეგიძლიაო. არ ვიცი, მისგან ეს დიპლომატიური ჟესტი იყო თუ გულით ლაპარაკობდა, მაგრამ მე ძალიან გამიხარდა.

ისე, „კასტრიდან" ბევრი კარგად მოსაგონარი დამრჩა. ერთხელ „ჰაინეკენის თასზე" ლონდონში „ჰარლიქუინზს" ვხვდებოდით, რომელშიც გასული წლის მსოფლიოს საუკეთესო მორაგბე კიტ ვუდი თამაშობდა. მე და ვუდმა ბევრი ვუბრაგუნეთ ერთმანეთს. მატჩის მერე მოვიდა და სურათი ერთად გადავიღეთ. ლუდზეც დამპატიჟა, მაგრამ გუნდი საფრანგეთში მოფრინავდა და დრო აღარ იყო.

**— ნაკრებზეც ვთქვათ. რუსებთან ფრე და რუმინეთთან წაგება რისი ბრალია? საქართველოს ნაკრების დონე გაუარესდა თუ პირიქით, იმათმა აიწია?**

— რუსებმა ძალიან მოუმატეს, თანაც ასეთი მამაცი რუსი ჯერ არ მინახავს. თავს გვაკლავდნენ, განსაკუთრებით მცველები. რუსებს ფული ჩვენზე მეტი აქვთ და შეკრებებსაც აწყობენ. ჯერ საფრანგეთში იყვნენ, მერე სამხრეთ აფრიკაში. იაპონიას ეთამაშნენ, ახლა ზე-12-ის გუნდის ჩაყვანა უნდათ რუსეთში, რამდენიმე ტესტი რომ გაუმართონ. ერთი სიტყვით, მაგრად მუშაობენ. რუსებთან მატჩს ისეთი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, რომ ღამეები აღარ მეძინა. სულ ფიქრში ვიყავი. თითქოს ყველაფერი ამით მთავრდებოდა. სულ იმას ვშიშობდი, არ წაგვეგო. შებორკილებმა ვითამაშეთ და ვერ მოვიგეთ.

სულ მიკვირდა, აქამდე როგორ ვუგებდით. ჩვენზე კარგი ჩემპიონატი აქვთ, ფული ხომ აქვთ და აქვთ და სრულფასოვან შეკრებებზე ალარაფერს ვამბობ.

რუმინეთი ისეთივე დონისაა, როგორიც შარშან იყო. ახალი ვერაფერი დავინახე. უბრალოდ, პირველი ტაიმი ჩვენ ჩავაგდეთ, მეორეში კი დრო აღარ გვეყო. მაშინ არ გვყავდა პალიკო ჯიმშელაძეც, რომელზეც აწყობილია გუნდი. პალიკოს ყოფნა ბევრ რამეს შეცვლიდა. არც ის დაგვავიწყდეს, რომ მთელი ტურნირი ოპტიმალური შემადგენლობით ვერ ვითამაშეთ. მეც ჩემი შესაძლებლობის მხოლოდ 20 პროცენტი ვითამაშე.

**— შემოდგომაზე მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი იწყება. შევძლებთ რუსების დამარცხებას და მსოფლიოს თასზე გასვლას?**

— უნდა შევძლოთ. ძალიან კარგია, ბათუმში ათდღიანი შეკრება რომ მოეწყო. ასეთი ფართომასშტაბიანი შეკრება ჯერ არ გვქონია. მთაში ავალთ, სუფთა ჰაერზე ვივარჯიშებთ, მერე რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც ვითამაშებთ. აუცილებელი არაა, მაინცდამაინც რომელიმე ეროვნულ ნაკრებს ეთამაშო, სპარინგი კლუბებთანაც შეიძლება. მთავარია, რაც შეიძლება მეტხანს ვიყოთ ერთად.

**— წელან რუსებთან მატჩისწინა ფსიქოლოგიური მომენტი ახსენე. შეხვედრის მნიშვნელობას თუ გავითვალისწინებთ, 5 ოქტომბერს უფრო დიდი დატვირთვა ექნება საქართველო-რუსეთის დაპირისპირებას...**

— ამისთვის უკვე მზად ვართ. მთავარია, თავისუფლად ვითამაშოთ და ყველაფერი კარგად იქნება.

**ბაჩო სვანიძე**



# ქართველები და აზერბაიჯანელები რუსეთში საჩხუბრად ერთად მიდიან

**11-20 ივლისს** რუსეთის ქალაქ პერმში მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. კონტინენტურ პირველობაზე საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას.

ჩვენები 11 მოკრივით იასპარეზებენ, ქართველი მხოლოდ 48-კილოგრამიანებში არ იკრივებს.



გაგა ბოლქვაძე

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თენგიზ მესხაძემ პერმში წამსვლელები ჯერ კიდევ მარტში, საქართველოს ჩემპიონატზე შეარჩია. საევროპო შემადგენლობა ასეთია: *რამაზ ბებნაძე (51კგ, ვარიანი), ლაშა ოჩიგავა (54კგ, ფოთი), კოტე კუპატაძე (57კგ, თბილისი), ავთანდილ კაშია (60კგ, ქუთაისი), პაატა ვარდუაშვილი (63,5კგ, ვარიანი), მალხაზ ბერკაცაშვილი (67კგ, ვარიანი), ანატოლი ქავთარაძე (71კგ, ჭიათურა), დავით წიკლაური (75კგ, თბილისი), დავით გეგეშიძე (81კგ, თბილისი), ბექა ლობჟანიძე (91კგ, გორი), გაგა ბოლქვაძე (ზემძიმე, ქუთაისი).*

მესხაძეს განსაკუთრებით ანატოლი ქავთარაძისა და გაგა ბოლქვაძის ეიმედება. გაგა ბოლქვაძემ საქართველოს ჩემპიონატზე სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოსანი ვლადიმერ ჭანტურია დაანოკაუტა და ნაკრებში ადგილი წაართვა.

ევროპის ჩემპიონატისთვის საქართველოს ნაკრები კარგა ხანია, ემზადება. ჩვენებმა სტამბოლის, ბაქოსა და მახაჩყალის საერთაშორისო ტურნირებზე იასპარეზეს და ბოლოსკენ ვარიანში, გიორგი კანდელაკის კლუბ „ჩემპიონში" დაბანაკდნენ. ვარიანში აზერბაიჯანის ნაკრებიც ემზადება — ქართველებმა რამდენიმე სპარინგიც გამართეს მეზობლებთან. ამასთან, ნაკრების წევრებს თბილისიდან საგანგებოდ ჩასულ ექიმთა ბრიგადა უწევდა მეთვალყურეობას. მოკრივეებს ყველაფერი მკურნალობა-ტესტირება ჩაუტარდათ და, როგორც კრივის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კიკნაველიძემ გვითხრა, ყველანი კარგ ფორმაში არიან.

ქართველი და აზერბაიჯანელი მოკრივეები მოსკოვის გავლით 10 ივლისს ერთად ჩავლენ პერმში.

**ბაჩო სვანიძე**



# ულრიხმა გერმანელებს ზეიმი წაუმწარდლა

*გერმანელთა მთავარველომრბოლი იან ულრიხს, „ტურ დე ფრანსის" 1997 წლის გამარჯვებულსა და ნიადაგ ლიდერთა შორის მოსატერფულეს, სისხლში აკრძალული ნივთიერება, ამფეტამინი აღმოაჩნდა.*



იან ულრიხი დოპინგ-ტესტისას

**ჯერაც** სამსოფლიოჩემპიონატო ბასტი-ბუბუში მყოფ გერმანელთათვის ეს ამბავი დასტურ ცივი შხაპი გამოდგა, ხოლო მსოფლიო ველორბოლის ისედაც შებღალულ იმიჯს ინფორმაციული ლაფის მორიგ ულუფად მიეგლისა.

ვაგლახ — ეს სრული სიმართლე გახლავთო, კვერი დაუკრა სააგენტო „როიტერის" კითხვას „ტელეკომის" დირექტორმა ვალტერ გოდეფრუოტმა, თუმც კი დეტალებისა და რამე-რუმეების დაზუსტებისგან თავი შეიკავა.

თუკი სისხლში დოპინგის მყოფობას მეორე ტესტიც დაადასტურებს, 28 წლის ულრიხს, ვისაც ახლა ისედაც მძიმე პერიოდი უდგას — გაზაფხულზე ნაოპერაციევი მუხლი მას ბოლომდე ჯერაც არ მოშუშებია — კიდევ უფრო უქმური დროება მოელის. უკეთეს შემთხვევაში მას რამდენიმეთვიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

მისი ექიმი, კარლჰაინც ბირნესერი იმედოვნებს, რომ მთელი ეს ამბავი უბრალოდ შეცდომა და გაუგებრობაა.

„სადღეისოდ მისთვის დოპინგის მიღებას არავითარი აზრი არ ჰქონდა, წლევანდელ „ტურ დე ფრანსს" იანი ხომ ისედაც გამოტოვებს — ამბობს ბირნესერი — ამიტომაც მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ეს საქმე უპრობლემოდ ჩაიფარცხება".

თუმცა სრულიად გერმანია მაინც შოკშია და, როგორც „ბილდი" მოთქვამს, „მაშინ, როცა ჩვენ ახალ საფეხბურთო გმირებს ვეთაყვანებოდით, ჩვენი ერთი უდიდესი გმირთაგანი სირცხვილისა და კატასტროფის მიჯნასთან მიმდგარა. ავერუმ — საერთოეროვნული ზეიმის წამურდვლაც სწორედ ასეთი უნდოდა!".

„ტურ დე ფრანსს" კი ულრიხი სწორედ მუხლის გამო დააკლდება.

სხვათა შორის, როცა ექიმებმა შეატყობინეს, რომ ნაოპერაციევს ტურის გამოტოვება მოუხდებოდა, ულრიხი კაცურად დამთვრალა, „პორშეს" შემომხტარა და ისეთი უშლიგინია, რომ სერიოზულ შარშიც გახვეულა.

ეს ამბავი 1 მაისს მოხდა.

მაშინ მისთვის ალკოჰოლის დაშვებულზე სამჯერ მეტი რაოდენობა დაუდგენიათ. ერთი თვის მერე შემდგარმა სასამართლომ მას ერთი წლით საჭესთან ჯდომაც აუკრძალა და 3,8-მილიონდოლარიანი წლიური ხელფასიდან ორი თვის ჯამაგირიც დააყაჭინა.

ულრიხმა კარიერა აღმოსავლეთ გერმანიაში დაიწყო. „ტურ დე ფრანსის" გარდა მისი წარმატებების ჩამონათვალი 1999 წლის ესპანეთის ტურს, 2000 წლის სიდნეის საოლიმპიადო ოქროს და ჩქაროსნულ რბოლებში მოხვეჭილ ორ სამსოფლიოჩემპიონო ტიტულს მოიცავს.

თუმცა კრიტიკოსები ამბობენ, რომ მისი მონაგარი უაღრესად მცირეა იმასთან შედარებით, რასაც მისგან ხუთი წლის წინ გამოელოდნენ.

ლამის მსოფლიოს უნიჭიერესი მრბოლისთვის ხშირად უსაყვედურიათ სიზარმაცე და ლხინისადმი მოჭარბებული ლტოლვა.

**ლევან ძელაურაძე**

## უიმბლდონი 2002

*ახლომახლო საავადმყოფოები და სასწრაფო დახმარების რაზმები სამი დღის მანძილზე მუდმივ მზადყოფნაში იყვნენ, კორტზე მხოლოდ ის ბურთის მიმტანები და გვერდითი მსაჯები გაამწესეს, პირველადი დახმარების აღმოჩენის მრავალწლიანი გამოცდილება რომ ჰქონდათ, ATP ტურის ყველა ექიმი ხელის განვდენაზე იმყოფებოდა. მარკ ფილიპუსისისა და რიჩარდ კრაიჩეკის შეხვედრა სახუმარო საქმე ნამდვილად არ გახლდათ. სამ-სამი მუხლის ოპერაცია, ხელახლა აწყობილი იდაყვი, ორიოდ თვეში კიდევ ერთხელ გამოსაცვლელი ხელოვნური ხრტილი, ზურგის, მხრის და კუნთების მცირე ტრავმები — ბოლო ორი წლის მანძილზე ორივე ჩოგბურთელმა ქირურგის დანის ქვეშ მეტი დრო გაატარა, ვიდრე კორტზე.*

# ყველაფერი ახალი ხელახლა აწყობილი ძველია

ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან



### სხეული და ცხოვრება: კიდევ სცადე!

ფილიპუსისი შარშან ზამთარში მხოლოდ ინვალიდის სავარძლით აზერხებდა გადაადგილებას და ჯერ კიდევ გაზაფხულზე ექიმებმა კარიერის დასრულება ურჩიეს. კრაიჩეკს შუა ივნისში როზმალენში ასპარეზობამდე 20 თვის მანძილზე არსად ეთამაშა. „კორტზე ბოლოს გასვლის შემდეგ რიჩარდს შვილები შეეძინა" — გაიხუმრა BBC-ის კომენტატორმა ჯონ მაკინროიმ მატჩის დაწყებამდე. „შვილიშვილები" — დაუმატა უიმბლდონის ექს-ჩემპიონმა პატ კეშმა. „შვილებმა არცკი იცოდნენ, რომ მამა ჩოგბურთს თამაშობდა" — არ ჩამორჩა პირველი.

195-სანტიმეტრიანი ავსტრალიელისა და 198-სანტიმეტრიანი ჰოლანდიელის მატჩი წესით ორშაბათს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ იმ დღეს ჩოგბურთელებმა კორტზე გამოსვლაც ვერ მოახერხეს, სამშაბათს მხოლოდ ოთხი ხელის თამაში მოასწრეს და გადამწყვეტი სეტი ოთხშაბათს ნაშუადღევს დაასრულეს.

მოთამაშეთა ზომა-წონის გათვალისწინებით დახვეწილი სტრატეგიებისთვის არავის ეცალა: ყუმბარისებური მოწოდება, მაშინვე ბადესთან გაჭრა და მიწაზე დაუშვებელი ბურთით ან სმეშით ქულის დაგვირგვინება. დარტყმების რაოდენობა გათამაშებებში ხუთს სულ ორჯერ ასცდა, ბურთის მიმტანები სერიოზული ტრავმის მიღების შიშით ბადესთან ჩამუხვლის ნაცვლად მთავარი მსაჯის კოშკურას ეფარებოდნენ, გვერდითი მსაჯები ცოტაც და ბალახზე გაწვებოდნენ.

კარგა ხნის მანძილზე მეც და ტრიბუნებზე მოკალათებულთა უმეტესობაც ძირითადად „სკადის" მოწოდებებზე მათი სიჩქარის მზომი რადარის ცქერით და მცირე მათემატიკური გამოთვლებით ვირთობდით თავს: 130 მილი/საათში (ანუ 211 კმ/სთ), 136 მილი/საათში (ანუ 220 კმ/სთ), 140 მილი/საათში (ანუ 227 კმ/სთ) — ამ ყუმბარის შემდეგ ყველას კოლექტიური აღფრთოვანების გმინვა აღმოგვხდა.

მეტად მოსაწყენად დაწყებული შეხვედრა თანდათან ტურნირის ყველაზე დაძაბულ ორთაბრძოლაში გადაიზარდა: ტაი-ბრეიკი ტაი-ბრეიკს მოსდევდა, ტყვია — ტყვიას, მეტოქის მოწოდებაზე მოგებულ ყოველ ქულას ოქროს ფასი ჰქონდა. მეორე სეტის დასაწყისში კრაიჩეკმა კორტზე ექიმს უხმო და ბარძაყისა და მხრის ტკივილების დასაამებლად გასახდელში მოუხდა წასვლა. უკან ჰოლანდიელი ორივე ფეხზე გადაკრული შავი სახვევითა და მიდება-შემოვლებულებზე გასწორებული მიზნით დაბრუნდა — 4:5-ზე „სკადს" მატჩში პირველად მოწოდება აართვა, უიმედოდ ჩამორჩენას გადაურჩა და მალე საერთო ანგარიშიც გაათანაბრა.

შეხვედრა სამშაბათს მეოთხე ხელის დასრულებისთანავე გადაიდო, მეორე დღეს წვიმის გამო მხოლოდ საღამოს განახლდა და მორიგ იძულებით შესვენებამდე სულ რამდენიმე წუთი გავიდა. ოთხსაათიანი მატჩის ბედი სწორედ ამ მცირე მონაკვეთში გადაწყდა — ფილიპუსისმა ერთხელ შეცდომით გაატარა ხაზზე დაშვებული ბურთი, ჰოლანდიელის შემოვლებულებს თვალი გააყოლა და ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა.

კრაიჩეკს მეტი არაფერი სჭირდებოდა. როდესაც საპნის ოპერასავით გაწელილი შეხვედრის დასასრულებლად მოთამაშეები კორტს გვარიანად აცივებულსა და შებნელებულზე დაუბრუნდნენ, ჰოლანდიელს საკუთარი მოწოდების დათმობა არც კი უფიქრია 6:7 (1:7), 7:6 (7:4), 6:7 (2:7), 7:6 (7:5), 6:4.

ჰოლანდიელს დასვენება ნამდვილად არ დასცალდა — გუშინ შუადღით ის კიდევ ერთხელ, ამჯერად მეოთხედფინალისთვის გაამწესეს იმავე პირველ კორტზე და თავისდა სამწუხაროდ, მორიგ ხუთსეტიან შეხვედრაში აღმოჩნდა ჩათრეული. 21 წლის ბელგიელ ქსავიე მალისთან მატჩი გასავათებულმა კრაიჩეკმა საშინლად დაიწყო და პირველი ხელი სულ რაღაც 20 წუთში დათმო.

აურაცხელი ეისებისა და ბადესთან ოსტატური გარჯის წყალობით უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონმა თამაშის გათანაბრება მოახერხა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში თავისსავე მთავარმა იარაღმა — მოწოდებამ დაალალატა. გადამწყვეტ ხელში 7:7-ზე კრაიჩეკმა ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და გამოუცდელ მეტოქეს ნახევარფინალის საგზური მალევე გადაულოცა 6:1, 4:6, 6:2, 3:6, 9:7.

„ზედიზედ ორი დღის მანძილზე ასეთი მატჩების მოგება, ეტყობა, ჩემს ძალებს აღემატებოდა, წვიმის გამო ხანგრძლივმა შესვენებებმა ჩემს მტკივან ფეხებს გამოჯანმრთელებისთვის დრო კი მისცა, მაგრამ დღეს კორტზე მოძრაობაც მიჭირდა, ძალიან ბევრს ვაცილებდი — მიპასუხა ჰოლანდიელმა, როდესაც ვკითხე, რომც მოეგო, ნახევარფინალში თამაშს თუ მოახერხებდა — ამაზე თავადაც ვფიქრობდი მატჩის დროს, მაგრამ სასწაულები ხომ ხდება. ფინალში გასვლის შესაძლებლობა იმდენად დიდი სტიმული იქნებოდა, რომ ყავარჯნებით გამოვცხადდებოდი კორტზე. ადრეც მომიგია ისეთი შეხვედრები, ფიზიკურად საშინლად რომ ვგრძნობდი თავს".

ახალგაზრდა ბელგიელის პრესკონფერენციაზე ერთი ჰოლანდიელი ჟურნალისტი მაკრატლით გამოცხადდა და კიკინის შეჭრაში დახმარების აღმოჩენა აღუთქვა. „არა, არა, ამას ვერ ვიზამ. ჩემმა მენეჯერმა მითხრა, რომ არ შეიძლება — ეს ჩემი იმიჯია. შეიძლება, სხვა რამით ავანაზღაურო სიტყვის გატეხვა, რაიმეს მოვიფიქრებ. მაგრამ კიკინა უნდა დავიტოვო" — დამნაშავის ტონით მიუგო მალისმა. საქმე ის არის, რომ წინა საღამოს ერთი ჰოლანდიური ტელეარხისთვის მიცემული ინტერვიუს დროს ბელგიელს ნიძლავი დაუდია, რომ ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში კიკინას შეიჭრიდა, ფინალში გაღწევისას თმას წითლად შეიღებავდა, გაჩემპიონებისას კი საერთოდ გადაიპარსავდა თავს.

დღევანდელ ნახევარფინალში მალისის მეტოქე ტურნირის ამ ეტაპზე კიდევ უფრო მოულოდნელად აღმოჩენილი ჩოგბურთელი — დავიდ ნალბანდიანი იქნება. 20 წლის არგენტინელს გაპროფესიონალებიდან მოყოლებული აქამდე ბალახზე არასოდეს ეთამაშა, უიმბლდონზე მცირე ტრავმის შემდეგ, თითქმის ყოველგვარი მომზადების გარეშე გამოცხადდა და ჯონ მაკინროის შემდეგ პირველი ვაჟი მოთამაშე შეიქნა, ვინც სადებიუტო წელსვე მიაღწია ამას.

„მაკინროის არც შევადარებ თავს, ის ნამდვილი ლეგენდაა. ჩემი კერპი ყოველთვის ბორის ბეკერი იყო. მართალია, მე სულ სხვაგვარ ჩოგბურთს ვთამაშობ, მაგრამ ის ჩემთვის მუდმივად საუკეთესო იყო. ცოტა ძნელად მჯერა, რასაც დღეს მივაღწიე, თუმცა ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ბალახზე თამაშიი მოთიხნარეებსაც ხეირიანად შეუძლიათ, მთავარია, კონცენტრაცია არ გაგეფანტოს".

ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტისთან შეხვედრაში ნალბანდიანმა ყველა ღონე იხმარა, წაეგო. მესამე სეტში ორი ბრეიკით დაწინაურებულმა ისე აურია, საკუთარი მოწოდება ზედიზედ სამჯერ დათმო; იგივეს გამეორებას გადამწყვეტ ხელშიც აპირებდა, მეგობარს ისევ ლაპენტიმ გაუმართა ხელი და აურაცხელი შეცდომებით 6:4, 6:4, 4:6, 4:6, 6:4 მოაგებინა.

არგენტინელის გვარის „სპეციფიკურობის" გამო თავი ვერ შევიკავე, მისი წარმოშობისა და სომხურში გაწაფულობის შესახებ არ მკითხა. „არა, მე არგენტინაში დავიბადე, ბაბუაჩემი იქ ძალიან დიდი ხნის წინ გადასახლდა, თავად მე სომხურად ერთი სიტყვაც არ ვიცი" — მომიგო ნალბანდიანმა, რომლის წითური სახე ჩვენი მეზობლების ტიპიურ გარეგნობას ნაღდად არ შეესატყვისება.

მეორე მძიმეწონოსანთა ნახევარფინალში ერთიმეორეს მსოფლიოს პირველი ჩოგანი ლეიტონ ჰიუიტი და მასპინძელთა კერპი ტიმ ჰენმანი შეხვდებიან. ნალბანდიანისა არ იყოს, რატომღაც ჰიუიტსაც არაფრით სურდა ჰოლანდიელი სხენგ შალკენის დამარცხება. ავსტრალიელმა პირველ-მეორე ხელში მეტოქეს თითი არ [illegible] მაგრამ გამარჯვების [illegible] [illegible] ფავპატიეი დაიწყო, ოთხი მატჩ-პოინტი ქარს გაატანა, ტაიბრეიკზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და კორტიდან რაც შეიძლება სწრაფად თავის დაღწევის მსურველ შალკენს გული დასწყვიტა.

დაბოლმილმა ჰოლანდიელმა მწარედ იძია შური და მეოთხე ხელში ჰიუიტს სულ ერთი გეიმი დაანება. ავსტრალიელის საბედნიეროდ, შალკენს ბრაზმა მალე გადაუარა და რაკი ნახევარფინალი, ეტყობა, მის გეგმებშიც არ შედიოდა, ბევრი ფიქრის და უპირატესობის განიავების შედეგად ეს მწარე ხვედრი ფიცხ ოზს ერგო 6:2, 6:2, 6:7 (5:7), 1:6, 7:5.

„არ ვიცი, ამდენი შანსი ბოლოს როდის ვერ გამოვიყენე. მთავარი ის იყო, რომ მეხუთე სეტში შალკენს ხელი ჩემზე მეტად აუკანკალდა და დაწინაურებულმა მოწოდება რამდენჯერმე დამითმო... მე ჯერაც პარდზე უფრო მიყვარს თამაში, მაგრამ დიდი სლემის ტურნირების მოგება, დარწმუნებული ვარ, ბალახსა და თიხნარზეც შემიძლია" — განაცხადა თავდაჯერებულმა ავსტრალიელმა, თუმცა მეტოქის მხრიდან მსგავსი ხელშეწყობის შემთხვევაში შანსი, ალბათ, ყველას ექნება.

### ოჯახური დაკვეთით

დიაცთა ფინალი, წლევანდელი როლან გაროსისა და შარშანდელი აშშ-ის ღია პირველობის მსგავსად, უიმბლდონზეც სრულიად შავი — უილიამსური იქნება. მათი გუშინდელი ნახევარფინალები ფრანგულენოვანი მეტოქეების წინააღმდეგ ერთმანეთის თითქმის ზუსტი ალიკვალი გახლდათ და დამარცხებულთა კომენტარიც სასოწარკვეთილებით საოცრად წააგავდა ერთიმეორეს.

„დღეს კორტზე არაფრის გაკეთება არ შემეძლო, ვინუსმა ყველა მხრივ დამჩაგრა. ასე კარგად ჩემს წინააღმდეგ მას არასოდეს უთამაშია" — ხელები გაასავსავა 3:6, 2:6 წაგების შემდეგ ბელგიელმა ჟუსტინ ენენმა, რომელიც იმავე მეტოქესთან შარშან უიმბლდონის ფინალშიც დამარცხდა — „ისინი ნამდვილად იმსახურებენ მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნობას".

„ქალთა ჩოგბურთისთვის უილიამსების მუდმივი ფინალისტობა კარგი არ იქნება, ბოლოს და ბოლოს ხალხს ეს ყელში ამოუვა. გუშინ და ამ დილით უამრავმა სრულიად უცნობმა ადამიანმა მითხრა, ოჯახური ფინალის ხილვა არ გვინდა და შენი იმედი გვაქვსო. სამწუხაროდ, დღეს სერენას წინააღმდეგ თამაში თითქმის შეუძლებელი იყო. უილიამსები ახლა ერთი თავით მაღლა დგანან ყველა დანარჩენზე და თავად თუ მოუკლებენ, თორემ მათი დამწევი არავინ ჩანს" — მწარედ გაიღიმა სერენასთან 2:6, 1:6 დამარცხებულმა ამელი მორესმომ, რომელსაც დღეს 23 წელი შეუსრულდა.

შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, თუმცა, ალბათ, მაინც ღირს იმის აღნიშვნა, რომ უიმბლდონის ფინალში გაღწევით სერენამ კლასიფიკაციაში უფროს დაიკოს გადაასწრო და ორშაბათიდან, კარიერაში პირველად, მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდება.

„მე უიმბლდონის მოგება მირჩევნია, თუმცა ამასაც არა უშავს. სიმართლე გითხრათ, ცოტა ავღელდი კიდეც, ჩემზე მეტად არავინ იმსახურებდა, რომ იცოდეთ, რამდენი ვიშრომე პირველობისთვის"— თავმდაბლობას სერენას ვერავინ დასწამებს. ჩვენ კი იმის იმედიდა დავიტოვოთ, რომ ფინალი სხვა შიდა-დური მატჩებისგან განსხვავებით, არცთუ საშინელი საცქერი იქნება.



ქსავიე მალისმა ღმერთს მიჰმადლა რიჩარდ კრაიჩეკის დამარცხება

REUTERS უიმბლდონიდან



ჟუსტინ ენენი ვინუსმა დამჩაგრა



რიჩარდ კრაიჩეკს სასწაულების სჯერა

REUTERS უიმბლდონიდან

| ვაჟები |
| --- |
| **მეოთხედფინალი** |
| **ქსავიე მალისი** (27, ბელგია) — **რიჩარდ კრაიჩეკი** (ჰოლანდია) 6:1, 4:6, 6:2, 3:6, 9:7; **დავიდ ნალბანდიანი** (28, არგენტინა) — **ნიკოლას ლაპენტი** (22, ეკვადორი) 6:4, 6:4, 4:6, 4:6, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — **სხენგ შალკენი** (18, ჰოლანდია) 6:2, 6:2, 6:7 (5:7), 1:6, 7:5; **ტიმ ჰენმანი** (4, ბრიტანეთი) — **ანდრე სა** (ბრაზილია) 6:3, 5:7, 6:4, 6:3 |

| ქალები |
| --- |
| **ნახევარფინალი** |
| **ვინუს უილიამსი** (1, აშშ) — **ჟუსტინ ენენი** (6, ბელგია) 6:3, 6:2; **სერენა უილიამსი** (2, აშშ) — **ამელი მორესმო** (9, საფრანგეთი) 6:2, 6:1 |



REUTERS უიმბლდონიდან

# უიმბლდონური

შერეულ წყვილთა თამაშში საინტერესო ისიცაა, რომ წლეულს ამ შეჯიბრში ორმოცდაექვსი წლის მარტინა ნავრატილოვა შეუწყვილდა ავსტრალიელ ტოდ ვუდბრიჯს. წყვილის ბოლო გაჩერება უიმბლდონზე შვედმა იონას ბიორკმანმა და... ფოტო თავად მოგახსენებთ, ვინც მოაწყვეს. დიახ, ანა კურნიკოვასა და ბიორკმანის წყვილი შემდეგ წრეში გავიდა.

უიმბლდონის ტაბლოს ოსტატი ჩარლი ბელინგტონი კი დიდი მხიარული კაცი ყოფილა, როცა წვიმა თამაშს ჩაშლის ხოლმე, აპყრის ცაში ბურთებს და სხვებსაც ართობს და თავადაც ერთობა.





# ტური იწყება

ამ შაბათს 89-ე „ტურ დე ფრანსი" იწყება. ტურის ზედიზედ მომგები ამერიკელი, ლენს არმსტრონგი მთელ წელიწადს ამ ერთი შეჯიბრებისთვის ემზადება და ლუქსემბურგში ჩასული თავის ველოსიპედს დასტრიალებს. ტურის პირველი დღე, 7 კილომეტრიანი სიჩაუქის გამოცდა, ანუ ინდივიდუალური რბოლა სწორედ ლუქსემბურგში ჩაივლის. იქ კი უკვე მოუყრიათ თავი ტურის გუნდებს. „კრედიტ აგრიკოლის". წევრი იენს ვოიტი თანაგუნდელ სტიუარტ ოგრეიდის წნევას უზომავს.



REUTERS ლუქსემბურგიდან



REUTERS ტორონტოდან

# კანადური სენდვიჩი

დახეთ, რა სენდვიჩს აკეთებენ კანადურ ლიგაში. ერთბაშად სამ ტორონტოელ „არგონავტს", მაიკ ოსშეის, ვენი კელის და ჯო მედფორდს შუა ჩაუტანებიათ მონრეალელი ლორენს ფილიპსი და ბურთს ვინღა ჩივის, გაჭყლეტას უპირებენ.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge